საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

71
2

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

## 8–9

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

აგვისტო — სექტემბერი

თბილისი 1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

## 8–9

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

აგვისტო — სექტემბერი

F 3659

თბილისი 1972

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის, განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 25 მაისის

# დადგენილება

**საუკეთესო სასწავლო ტექნიკური საშუალებების დამზადებაზე საკავშირო კონკურსში საქართველოს სსრ პედაგოგიური და საინჟინერო-ტექნიკური საზოგადოებრიობის, სკოლების, სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საკონსტრუქტორო ბიუროების, სამრეწველო საწარმოებისა და შემოქმედებითი კავშირების მონაწილეობის შესახებ**

სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის, სსრ კავშირის პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 21 იანვრის დადგენილებით „საუკეთესო სასწავლო ტექნიკური საშუალებების დამზადებაზე საკავშირო კონკურსის ჩატარების შესახებ“, 1972 წლის 1 თებერვლიდან 1973 წლის 1 თებერვლამდე ტარდება საკავშირო კონკურსი საუკეთესო სასწავლო ტექნიკური საშუალებების დამზადებაზე; კონკურსის მიზანია არსებული სასწავლო ტექნიკური საშუალებების მოდერნიზება და ახალი სასწავლო ტექნიკური საშუალებების შექმნა, რაც ხელს შეუწყობს ახალი პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით სწავლებისას თვალსაჩინოების

უფრო ფართოდ გამოყენებას, გაკვეთილის ეფექტურობის ამაღლებას და მოსწავლეთა მიერ საპროგრამო მასალის ათვისების ხარისხის გაუმჯობესებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ტიპის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის სასწავლო ტექნიკური საშუალებების შექმნისა და არსებულის მოდერნიზაციის საქმეში რესპუბლიკის პედაგოგიური, საინჟინრო-ტექნიკური შემოქმედებითი ორგანიზაციების, სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების, საკონსტრუქტორო ბიუროების ფართოდ ჩაბმის მიზნით საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ადგენენ:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, პროფკავშირის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების პირველად ორგანიზაციებს:

ა) ფართოდ ჩააბან საუკეთესო სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა დამზადებაზე საკავშირო კონკურსში პედაგოგები, ინჟინერ-ტექნიკოსები, უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, საკონსტრუქტორო ბიუროების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების მუშაკები, შემოქმედებითი გაერთიანებები.

ბ) ადგილებზე შექმნან შემმოწმებელი კომისიები, რომლებმაც მიმდინარე წლის 1 დეკემბრამდე მოახდინონ საუკეთესო სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა მოწყობილობების ნიმუშების შერჩევა და რესპუბლიკურ საკონკურსო კომისიისათვის გამოგზავნა (მისამართი: თბილისი, ნუცუბიძის ქ. № 7, შრომით, პოლიტექნიკურ და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტი).

2. დაევალოს შრომით, პოლიტექნიკურ და ტექნიკურ საშუალებათა მეთოდური კაბინეტის დირექტორს ამხ. დ. გვალიას 1972/73 წლების დეკემბერ-იანვარში მოაწყოს რაიონული და საქალაქო კომისიების მიერ შერჩეულ სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა საუკეთესო ნიმუშების გამოფენა.

3. დამტკიცდეს საუკეთესო სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა დამზადებაზე საკავშირო კონკურსის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისია, შემდეგი შემადგენლობით:

1. უ. ობოლაძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის 1 მოადგილე (თავმჯდომარე)
2. მ. ქორჩაკიძე —საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე
3. ა. ჩხიკვაძე —საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი
4, ვ. ცაავა—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური განყოფილების გამგე
5. ს. ტონია—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი ინსპექტორი
6. დ. გვალია—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს შრომით, პოლიტექნიკურ და ტექნიკურ საშუალებათა რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის გამგე (თავმჯდომარის მოადგილე)
7. გ. ვარდოსანიძე—განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანი.
8. ზ. ლომიძე—საქართველოს ალკკ ცკ სასკოლო განყოფილების გამგის მოადგილე
9. ო. ხაზარაძე—ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სწავლებაში ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების ლაბორატორიის გამგე
10. გ. კობახიძე—ქ. თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორი
11. დ. მშვიდობაძე—გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური საბჭოს ინსტრუქტორი
12. მ. სურგულაძე—ქ. თბილისის განათლების განყოფილების სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა მეთოდკაბინეტის გამგე
13. პ. თუთბერიძე—ქ. თბილისის მე-15 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში

4. კონკურსის ჩამტარებელმა რესპუბლიკურმა კომისიამ 1973 წლის 25 იანვრამდე საკავშირო ჟიურის წარუდგინოს საკონკურსო მასალები საუკეთესო სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა ნიმუშებთან ერთად.

5. გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებმა ფართო პროპაგანდა გაუწიონ კონკურსის მიმდინარეობას (საკავშირო კონკურსის დებულება თან ერთვის, დანართი 1).

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
**თ. ლაშქარაშვილი**

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე
**დ. იოსელიანი**

გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ე. მეტრეველი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 1

სსრკ განათლების სამინისტროს კოლეგიის, სსრკ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 21 იანვრის № 2/3 დადგენილებისა

**სასკოლო-სასწავლო ტექნიკური საშუალებების საუკეთესო ნიმუშის დამზადებაზე საკავშირო კონკურსის დ ე ბ უ ლ ე ბ ა**

1. 1971 წლის 1 თებერვლიდან 1973 წლის 1 თებერვლამდე ტარდება საკავშირო კონკურსი სასკოლო სასწავლო-ტექნიკური საშუალებების საუკეთესო ნიმუშზე.

კონკურსის მიზანია:

შეიქმნას და გამოიშვას ახალი და მოდერნიზებული ამჟამად მოქმედი სასკოლო სასწავლო ტექნიკური საშუალებები. შერჩეული იქნას სრულყოფილი აპარატურა და აღიჭურვოს ამ აპარატურით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სამინისტროებს, საწარმოებს, საკონსტრუქტორო ბიუროებს, ინსტიტუტებს, ლაბორატორიებსა და სხვა ორგანიზაციებს, აგრეთვე მასწავლებლებს, მეთოდისტებს, გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს.

3. კონკურსი ტარდება სასკოლო აპარატურის შემდეგ ნიმუშებზე:

— 16 მმ ფირით მომუშავე კინოპროექტორებზე,
— 8 მმ ფირით მომუშავე კინოპროექტორებზე,

— დიაპროექტორებზე დიაფილმებისათვის და დიაპოზიტივებზე კადრის ზომით 24X36 მმ და ჩარჩოთი საკადრო სარკმლით 18X24 მმ,

— დიაპროექტორებზე ხმის თანმხლების განხორციელებით,

— სტერეოპროექტორებზე,

— კოდოსკოპებზე,

— ეპიპროექტორებზე,

— პროექტორებზე შუქამტარი ეკრანით,

— ტელევიზორებზე ვიდეოკასეტების ან ვიდეოფირფიტების მოწყობილობით,

— ვიდეომაგნიტოფონებზე,

— რადიომიმღებებზე,

— რადიოკვანძებზე,

— სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტებზე,

— ენის სწავლების კაბინეტებზე,

— ლინტოფონურ მოწყობილობებზე,

— მაგნიტოფონებზე,

— ელექტროფონებზე,

— ფირდამკვრელებზე,

— ვიდეოკასეტების გამომყენებელ მოწყობილობებზე,

— ვიდეოფირების გამომყენებელ მოწყობილობებზე,

— მოწყობილობებზე პროგრამირებული სწავლებისათვის,

— მასწავლებელ მოწყობილობებზე,

— მაკონტროლებელ მოწყობილობებზე,

— კინორგოლის სადემონსტრაციო მოწყობილობებზე,

— საპროექციო მაჩვენებლებზე,

— ფანჯრების დამაბნელებელ და ეკრანის მუშა მდგომარეობაში მომყვან მოწყობილობებზე.

— სასკოლო აპარატურის მანძილზე სამართავ მოწყობილობებზე,

— პრინციპულად ახალ მოწყობილობაზე, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გადასცეს მოსწავლეს სხვა და სხვა, ინფორმაცია ან მართვის სწავლების პროცესი.

4. გარდა ძირითადი მოთხოვნებისა, სასკოლო სასწავლო ტექნიკური საშუალებების კონკურსზე წარდგენილი ნიმუშები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნილებებს:

ა) ტექნიკურ და პედაგოგიურ მოთხოვნებს მოცემული ლიტერატურისადმი;

ბ) პასუხობდეს ტექნიკური ესთეტიკის მოთხოვნებს, უშიშროების ტექნიკას და შრომის ჰიგიენას;

გ) წარმოდგენილი ნიმუშები უნდა იყოს მოხერხებული და საიმედო ხანგრძლივი ხმარების დროს;

დ) წარმოდგენილი ნიმუშები უნდა გამოირჩეოდეს მცირე ღირებულებით.

5. კონკურსზე წარმოდგენილი საუკეთესო წინადადებების ავტორები პრემირებული იქნებიან, რისთვისაც დაწესებულია:

— ერთი პირველი პრემია—2,5 ათასი მან.

— ოთხი მეორე პრემია—1.5 ათასი მან.

— რვა მესამე პრემია—500 მან.

— თოთხმეტი წამახალისებელი პრემია—100 მან.

— ათი პრემია თითო 50 მანეთის ოდენობით—კონკურსის საუკეთესო მომზადებისა და ორგანიზაციისათვის.

საუკეთესო წინადადებების ავტორები, რომელთა პროექტები ემსახურებიან სწავლების ეფექტიანობის ამაღლების საქმეს, დაჯილდოვდებიან კონკურსის ჟიურის წარდგინებით სსრკ განათლების სამინისტროს სიგელებითა და სამკერდე ნიშნით—„გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საბჭოს ლაურეატი“.

წინადადებებს, რომლებიც აღნიშნული იქნება პრემიებითა და სიგელებით, რეკომენდაცია გაეწევა სსრკ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის „სახალხო განათლების“ პავილიონში ექსპონირებისათვის და მასობრივი ტირაჟით გამოშვებისათვის. წინადადებების ავტორები, მიღებული პრემიების მიუხედავად, სარგებლობენ უფლებით მიიღონ საავტორო გასამრჯელო აღმოჩენის, გამოგონების და რაციონალიზატორული წინადადებების ინსტრუქციის თანახმად.

6. საკავშირო კონკურსის ორგანიზაციისა და ჩატარებისათვის იქმნება ჟიური, რომლის შემადგენლობა მტკიცდება სსრკ განათლების სამინისტროს კოლეგიის, სსრკ პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის, განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და გამომგონებელთა და რაციო-

ნალიზატორთა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის საერთო დადგენილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟიური განიხილავს კონკურსზე შემოსულ ყველა მასალებს და არჩევს საუკეთესო სასკოლო-სასწავლო ტექნიკური საშუალებების და დამხმარე მოწყობილობების ნიმუშებს. შეაქვს წინადადებები სსრკ განათლების სამინისტროს კოლეგიის, სსრკ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის, განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის და გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმში პრემიების მინიჭების, სიგელებით დაჯილდოების, გამოფენისათვის საუკეთესო ნიმუშების რეკომენდაციისა და მათი მასობრივი ტირაჟით წარმოების შესახებ.

7. კონკურსის ხელმძღვანელობისათვის მოკავშირე რესპუბლიკებში იქმნება საკონკურსო კომისიები, რომლის შემადგენლობაც მტკიცდება რესპუბლიკების განათლების (სახალხო განათლების) სამინისტროების კოლეგიების, განათლების, უმაღლესი და სკოლებისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების პრეზიდიუმების და მოკავშირე რესპუბლიკების გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოებების მიერ.

საკონკურსო კომისიები პროპაგანდას უწევენ კონკურსის პირობებს, ორგანიზაციას უკეთებენ კონკურსზე წარდგენილ წინადადებებს და დაწესებულ ვადამდე არ ამხელენ ავტორის ვინაობას.

8. კონკურსზე წარმოდგენილი უნდა იქნეს შემდეგი მასალები:

— აპარატურის ნიმუში—1 ცალი,

— ნიმუშის პრინციპული სქემა –2 ცალი,

— ნიმუშის ფოტოსურათები –2 ცალი,

— წინადადების სათანადო აღწერილობა (რუსულ ენაზე)—2 ცალი,

— მეთოდური მითითება სწავლებაში სასკოლო სასწავლო საშუალების გამოყენების შესახებ—2 ცალი.

— ცნობა—აქვს თუ არა საავტორო მოწმობა გამოგონებაზე, რაციონალიზატორულ წინადადებაზე და განაცხადი ნავარაუდევ გამოგონებაზე ნიმუშის კონსტრუქციის მიხედვით—2 ცალი.

9. ნიმუშები და მასალები იგზავნება სსრკ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სასკოლო აღჭურვილობის და სასწავლო

ტექნიკური საშუალებების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, (ქ. მოსკოვი,—114, მე-2 კოჟევნიჩესკის შესახვევი, სახლი 4ა) აღნიშვნით „საკავშირო კონკურსი" (დევიზით). მოცემული მისამართი იწერება გარე კონვერტზე, გარე კონვერტში კი ინახება:

ა) კონვერტი მასალებით, თანახმად დებულების მე-8 პუნქტისა, წარწერით მასზე „საკონკურსო ნიმუშების მასალები";

ბ) დალუქულ კონვერტზე, წარწერილია მხოლოდ დევიზი და ამ კონვერტში ინახება: კონკურსზე გამოგზავნილი ნიმუშების სია, დევიზი, ავტორის გვარი, სახელი, მამის სახელი (სრულად), მუშაობის ადგილის, თანამდებობის, სამეცნიერო ხარისხის და (ავტორების) მისამართის ჩვენებით. დევიზის წარწერა შიდა კონვერტზე და მისი დალუქვა კონვერტში ხდება მხოლოდ ავტორის (ან ავტორების) მიერ. მათ არ აქვთ უფლება ამხილონ კონკურსზე გამოგზავნილი მასალების დასახელება და მათი ავტორების ვინაობა.

საკავშირო კონკურსზე წინადადებების წარმოდგენის უკანასკნელი ვადაა 1973 წლის 1 თებერვალი (საფოსტო შტემპელის მიხედვით).

კონკურსის მონაწილეთა თხოვნით სსრკ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი უგზავნის ავტორებს ტექნიკურ-პედაგოგიურ დავალებას, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო-სასწავლო ტექნიკური საშუალებების სხვადასხვასახის კონსტრუქციის პროექტის და მოდელის შექმნას.

10. ნიმუშები და ყოველგვარი მასალები კონკურსის ჩატარების დროს ინახება სასკოლო აღჭურვილობის და სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა სსრკ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში.

ის პირნი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ნიმუშების მიღება-შენახვაში, ვალდებულნი არიან საიდუმლოდ დაიცვან ავტორის ვინაობა, მისამართი ან სხვა მონაცემები მათ შესახებ, რომელიც შეიძლება იყოს კორესპონდენციაში.

კონვერტები უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე კარადაში კონკურსის შედეგების გამოცხადებამდე.

11. კონკურსზე წარდგენილი მასალები გადიან ექსპერტიზას სსრკ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სასკოლო აღჭურვილობის და სასწავლო ტექნიკური საშუალებების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში და სპეციალურად შექმნილ საექსპერტო

კომისიებში,—შემდეგ კი იგზავნებიან საკავშირო კონკურსის ჟიურირის განსახილველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

12. ჟიურის სხდომა ითვლება უფლებამოსილად თუ მასში იღებს მონაწილეობას ჟიურის წევრთა არანაკლებ 2/3.

13. პრემიის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით და შევა ძალაში, თუ მას ხმა მისცა ჟიურის წევრთა შემადგენლობის ნახევარზე მეტმა.

14. ჟიურის ყველა სხდომა ფორმდება ოქმით. ოქმს ხელს აწერენ თავმჯდომარე და ჟიურის წევრები.

15. კონვერტის გახსნა, სადაც ინახება დევიზის გაშიფრვა, მოხდება ჟიურის წევრთა ღია სხდომაზე პრემიების მინიჭების შემდეგ.

16. ჟიური აჯამებს კონკურსის შედეგებს 1973 წ. 20 აპრილისათვის.

17. სსრკ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სასკოლო აღჭურვილობისა და სასწავლო ტექნიკურ საშუალებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი აწყობს 1973 წ. 1 აგვისტოსათვის ნიმუშების გამოფენას, რომლებიც ჟიურის მოწონებას დაიმსახურებს.

18. ჟიურის მიერ ამორჩეული ნიმუშების ერთი ეგზემპლარი თანდართული მასალებით იგზავნება გამოფენაზე და უბრუნდება ავტორს 1 თვის ვადაში გამოფენის დახურვის შემდეგ.

იმ ნიმუშების 1 ეგზემპლარი, რომლებიც არ იყვნენ რეკომენდებული, მასალებთან ერთად ეგზავნება ავტორს 1 თვის ვადაში კონკურსის შეჯამების შემდეგ.

მე-2 ეგზემპლარი მასალებისა რჩება სსრკ პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის სასკოლო აღჭურვილობის და სასწავლო ტექნიკური საშუალებების სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის

1972 წლის 30 ივნისის

# დადგენილება

### ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დამატებითი ღონისძიებების გატარების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა გარკვეული სამუშაოები ჩაატარეს ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებში, საბავშვო სახლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში მომსახურე მუშაკებისათვის და მოსწავლეებისათვის შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო პირობების შესაქმნელად.

თავის მხრივ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიიღო და დაუგზავნა თავის დაქვემდებარებაში მყოფ დაწესებულება-ორგანიზაციებს 1971 წლის 28 აპრილის № 261 ბრძანება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში შრომის დაცვის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ. ამ ბრძანების საფუძველზე მათ ევალებოდათ თავიანთ აპარატში ბრძანებით ერთ-ერთი სას-

კოლო ინსპექტორისათვის დაევალებინათ შრომის დაცვის საკითხთა წარმოება. ასევე დაეგზავნათ ცირკულარული წერილი (№ 1/602 ოქტომბერი 1971 წელი) ელექტროტრავმატულ შემთხვევათა თავიდან აცილების ღონისძიებათა გატარების შესახებ და ბრძანება (№ 424 30 ივლისი 1971 წელი) შრომის დაცვის ნაკრებ ნომენკლატურულ ღონისძიებათა შესახებ, შესაბამისი დანართებით.

მუშავდება და უახლოეს დროში დაეგზავნებათ სკოლებს ინსტრუქციები შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე ქიმიის და ფიზიკის კაბინეტებისათვის და სასწავლო სახელოსნოებისათვის.

შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხები პერიოდულად იხილება კოლეგიების, სახალხო განათლების საბჭოს და პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, ისახება კონკრეტული ღონისძიებები გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

აღნიშნულთან ერთად ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნაკლოვანებებს. რიგი სკოლების სასწავლო სახელოსნოებში ხმარებაშია მოძველებული, უვარგისი ხელის იარაღები. ჩარხები და დაზგები (კომბინირებული მრგვალხერხა, სარანდი, საბურღი, და ა. შ.) დამონტაჟებული არ არის სტაციონალურ სადგარებზე, მათი ექსპლოატაცია ხდება დამცავი საშუალებებისა და დამიწების გარეშე, რაც ქმნის ტრავმატულ შემთხვევათა წარმომშობ მიზეზებს, არ ხდება ელექტროდანადგარების დამცავი დამიწების წინაღობისა და იზოლაციის ყოველწლიური შემოწმება. არ ტარდება ელექტროდენის გამანაწილებელი ფარების პროფილაქტიკური გასინჯვა, ადგილი აქვს შრომის დისციპლინის დარღვევებს, უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაუცველობასა და სხვ. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესწავლაზე შესავალი, პერიოდული და განმეორებითი ინსტრუქტაჟების ჩატარებას. სუსტად ან სულ არ ტარდება მომეტებული საშიშროების უბნებზე მომსახურე პერსონალის (ლაბორანტეის, ელექტრომონტიორები, სანტექნიკოსები, ცეცხლფარეშები და ა. შ.) საკურსო-სწავლება (ატესტაცია).

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან და სსრ კავშირის პროფესიონალური კავშირების ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 აპრილის დადგენილების—მინსკის რადიოქარხნის ფუტლარების საამქროში მომხდარი ავარიისა და შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობაზე პროფკავშირული ორგა-

ნოების კონტროლის გაძლიერების შესახებ, აგრეთვე სსრკ განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლის და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის 1972 წლის 1 ივნისის № 40-მ/07/14 ცირკულარული წერილის—განათლების სისტემის დაწესებულებებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დამატებითი ღონისძიებების გატარების შესახებ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი

ა დ გ ე ნ ს:

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მიიღონ ქმედითი ღონისძიებანი პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1970 წლის IX პლენუმის და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის VIII პლენუმის გადაწყვეტილებების მუშათა და მოსამსახურეთა შრომის დაცვის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ", შესასრულებლად.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო და რვაწლიანმა სკოლებმა, სკოლა-ინტერნატებმა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებმა:

ა) მუშაობა შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის დარგში წარმართონ დებულების — „სსრკ განათლების სამინისტროს სისტემაში შრომის დაცვის სამსახურის ორგანიზაციის შესახებ" შესაბამისად (დამტკიცებული სსრკ განათლების მინისტრის 1971 წლის 24 დეკემბრის № 101 ბრძანებით);

ბ) შეიმუშაონ 1972—1975 წლებისათვის კომპლექსურ ღონისძიებათა გეგმები, კოლეგიების, სახალხო განათლებისა და პედაგოგიური საბჭოების და პროფკავშირის პრეზიდიუმის სხდომებზე

ხშირად განიხილონ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობა, სადაც მოსმენილ იქნება ამ საკითხებზე გამოყოფილი პასუხისმგებელ მუშაკთა (სასკოლო ინსპექტორები, სკოლის დირექტორები და მათი მოადგილეები, სასწავლო სახელოსნოების გამგეები, ფიზიკის, ქიმიისა და შრომის მასწავლებლები) თვითანგარიშები. გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახონ ქმედითი ღონისძიებანი; განახორციელონ დამატებითი ღონისძიებები ადრე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების უზრუნველსაყოფად (იხ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 23 აპრილის № 216 ბრძანება და 1971 წლის 19 ოქტომბრის № 602 ცირკულარული წერილი);

გ) უზრუნველყონ სასწავლო სახელოსნოები გამართული ხელის იარაღებითა და ჩარხებით. არ დაუშვან მოუწესრიგებელი ჩარხების ექსპლოატაციაში გაშვება (დამცავი საშუალებების უქონლობისა და მათი კორპუსების დამიწების გარეშე), სპორტდარბაზებში მოახდინონ არსებული ცენტრალური გათბობის რადიატორების დახურვა დამცავი ხის ლობურებით და მოქმედებაში მოიყვანონ საშხაპეები;

დ) ქიმიის კაბინეტებში აიკრძალოს ვერცხლისწყალზე და სხვა მომწამლავ ნივთიერებებზე ცდების ჩატარება, თუ ისინი არ პასუხობენ სანიტარული ნორმებისა და წესების პ-ლ 4—62, სსრკ სახელმწიფო სანიტარული ინსპექციის სანიტარული ნორმების № 397—62 და ვერცხლისწყალთან მუშაობის № 780—69 მოთხოვნებს;

ე) დაევალოთ სკოლებში და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის დარგში მომუშავე მუშაკებს, სასწავლო სახელოსნოების, კაბინეტებისა და ლაბორატორიების გამგეებს, ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და შრომის მასწავლებლებს სისტემატურად აწარმოონ ახლადმიღებულ მუშაკებთან და მოსწავლეებთან შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების შესწავლაზე შესავალი, მიმდინარე და განმეორებითი ინსტრუქტაჟების ჩატარება და აღრიცხვა;

ვ) ყოველი მომხდარი ტრავმატული შემთხვევის გამოკვლევა აწარმოონ წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევების გამოკვლევისა და აღრიცხვის დებულების შესაბამისად (დამტკიცებული პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 20 მაისის დადგენილებით). მომხდარი ჯგუფური, მძი-

მე და სასიკვდილო უბედური შემთხვევები დაუყოვნებლივ აცნობონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სკოლამდელი დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მთავარ ტექნიკურ ინსპექტორს;

ზ) აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა ანგარიში (სტატისტიკური ფორმა № 7 ტ) წარმოებასთან დაკავშირებული უბედური შემთხვევების დროს დაზარალებულთა შესახებ წარუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 10 ივლისს 1 ნახევარწლისათვის და 10 იანვარს მთელი წლისათვის;

თ) პროფკავშირის ორგანიზაციების ადგილობრივმა კომიტეტმა შრომის დაცვის კომისიების შემადგენლობაში შეიყვანონ კვალიფიციური მუშაკები მეტი წარმოებაში ორგანიზაციებიდან:

ი) სკოლების ახალი სასწავლო წლისათვის მზადებასთან დაკავშირებით სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების დროს ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებლად გათვალისწინებულ იქნეს უსაფრთხოების ტექნიკის წესებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვა;

კ) სკოლებში, სკოლამდელი აღზრდისა და სკოლის გარეშე დაწესებულებებში პერიოდულად მოხდეს შრომის დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სანიტარულ-ჰიგიენური საკითხების ამსახველი კინოფილმების ჩვენება, ლექციებისა და საუბრების ჩატარება;

ლ) სკოლებში ყოველწლიურ დ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ დაწესებულ ვადებში მოხდეს მოსწავლეთა სამედიცინო გასინჯვა;

3. 1972 წლის ოქტომბრამდე მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) და სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე) შეისწავლონ უახლოეს წლებში ქიმიის კაბინეტების ამწოვი კარადებით უზრუნველყოფის საკითხი.

4. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე), კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე), მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა 1972 წლის

F 3659

ხალხთა

ოქტომბრამდე ორგანიზაცია გაუკეთონ შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებზე მომუშავე პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირ-სემინარის ჩატარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. განათლების განყოფილებებმა ადგილებზე ორგანიზაცია გაუკეთონ მომეტებულ საშიშ უბნებზე მომუშავე მუშაკთა (ლაბორანტები, ელექტრომონტიორები, სანტექნიკოსები, ცეცხლფარეშები და ა. შ.) სწავლება-ინსტრუქციის ჩატარებას.

6. განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობისა (ამხ. ს. უჩანეიშვილი) და ტექნიკური ზედამხედველობის (ამხ. ვ. გეგეშიძე) განყოფილებებმა არ დაუშვან სასკოლო და სკოლამდელ დაწესებულებათა ობიექტების ექსპლოატაციაში გადაცემა თუ სამუშაოები შესრულებული იქნება არაკომპლექსურად, უხარისხოდ და დამტკიცებული ტექნიკური დოკუმენტაციის დარღვევით.

7. მასწავლებელთა აგვისტოს თათბირებზე, სხვა საკითხებთან ერთად, განხილულ იქნეს საკითხი შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 6 ივლისის ბრძანება № 402

### საჩხერის მე-2 საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათიდან ირკვევა, რომ საჩხერის მე-2 საშუალო სკოლის მუშაობაში არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია. სკოლის დირექცია სათანადო ხელმძღვანელობასა და კონტროლს ვერ ახორციელებს პედაგოგიური კოლექტივის საქმიანობაზე. მთელ რიგ საგნებში შეუსრულებელი რჩება საპროგრამო მოთხოვნები; არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები, არ სრულდება საკონტროლო წერის ნორმები, სწავლების პროცესში არ იყენებენ თვალსაჩინოებას და სწავლების ტექნიკურ საშუალებებს, ჩაშლილია მეთოდური მუშაობა, ყოველივე ამის შედეგად მეტად დაბალ მეცნიერულ და მეთოდურ დონეზე ტარდება მშობლიური ენისა და ლიტერატურის, ისტორიისა და ფიზიკის გაკვეთილები, სერიოზული ხარვეზებით ისწავლება მათემატიკა და ქიმია.

პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე სათანადო ანალიზი არ აქვს გაკეთებული ცალკეული საგნების სწავლების, კლასკარეშე და სკოლისგარეშე აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობას. დირექტორისა და სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილის მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი, მოცემული არ არის მასწავლებელთა მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა დაძლევის სწორი. მეთოდურად დასაბუთებული მითითებანი. სასკოლო დოკუმენტები შედგენილია უწიგნურად, უხეში ენობრივი შეცდომებით.

სკოლაში სათანადო ყურადღება არ ექცევა ესთეტიკური გარემოს შექმნას. წესრიგი და სისუფთავე არ არის დაცული საკლასო ოთახებსა, კაბინეტ-ლაბორატორიებსა და დერეფნებში, მოუვლელია დგამ-ავეჯი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ნორმალურ მუშაობასა და სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მაღალ დონეზე წარმართვის საქმეს სერიოზულად აფერხებს სკოლის დირექტორ ვ. ქახორიასა და სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილის ივ. ცაციძეს შორის არსებული არაკოლეგიალური დამოკიდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საჩხერის რაიონის განათლების განყოფილებამ (ა. ლომიძე):

ა) ქმედითი ღონისძიებანი გაატაროს საჩხერის მე-2 საშუალო სკოლის მუშაობაში გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. პერიოდულად შეისწავლოს ამ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა, შედეგები განიხილოს განათლების საბჭოს სხდომებზე და საჭიროების შემთხვევაში მიიღოს სათანადო ზომები. ამასთან ერთად, ოპერატიულად გარდაქმნას და სრულყოს პედაგოგიური კოლექტივისადმი სკოლის დირექციის ხელმძღვანელობისა და კონტროლის მეთოდები, რათა უზრუნველყოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის წარმართვა საპროგრამო მოთხოვნათა მიხედვით;

ბ) გაზარდოს მასწავლებელთა პასუხისმგებლობა მეცნიერებათა საფუძვლების მყარი ცოდნით მოსწავლეთა შეიარაღების საქმისადმი. გადამჭრელი ზომები მიიღოს მეთოდური მუშაობის გასაუმჯობესებლად და მიაღწიოს იმას, რომ თითოეული მასწავლებელი სისტემატურად იმაღლებდეს თავის პროფესიულ ოსტატობას, გულდასმით ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის და მას მაღალ იდეურ და თეორიულ დონეზე ატარებდეს;

გ) მიიღოს ზომები, რათა ყველა გაკვეთილზე ტარდებოდეს პროგრამებით გათვალისწინებული ცდები და ლაბორატორიული სამუშაოები. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სათანადო სიძნელის ამოცანებსა და მაგალითებზე ვარჯიშს და სწავლების პროცესში თვალსაჩინოებისა და სწავლების ტექნიკური საშუალებების ფართოდ გამოყენების საქმეს;

დ) არ დაუშვას მოსწავლეთა სკოლიდან ჩამოთხოვების არცერთი შემთხვევა და იზრუნოს სკოლაში სათანადო წესრიგის დამყარებისა და ესთეტიკური მიმზიდველი გარემოს შექმნისათვის;

ე) ალიშაუის ბრძანებები და სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათი, სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის შედეგების გაუმჯობესების მიზნით სათანადო ღონისძიებების შესამუშავებლად, განიხილოს რაიონის სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე; მოხსენებით ბარათში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებელთა მიმართ გაატაროს საჭირო ადმინისტრაციული ზომები. სისტემატური კონტროლი დააწესოს მათ მუშაობაზე, ჩააბას ისინი მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის საკურსო ღონისძიებებში და თუ ამის შემდეგაც ვერ შესძლებენ მუშაობის გარდაქმნას, სათანადო წესის დაცვით, გაათავისუფლოს ისინი სამუშაოდან;

ვ) საჩხერის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილის სასწავლო მუშაობის დარგში ივ. ცარციძის საკითხი, რომელმაც ვერ გაართვა თავი მასზე დაკისრებულ მოვალეობას და ამასთან ერთად, ერთ-ერთი მთავარი როლი ითამაშა სკოლაში დამძიმებული, არაჯანსაღი ვითარების შექმნაში, განიხილოს მისი გამოაშკარავებისთანავე და გაათავისუფლოს დაკავებული თანამდებობიდან.

2. სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მისუსტე ხელმძღვანელობისათვის გათავისუფლდეს დაკავებული თანამდებობიდან სკოლის დირექტორი ვ. ჭიაორი.

3. სკოლების სამმართველომ (უფრ. აკ. ჩხიკვაძე) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 22 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს 1972 წ. 6 ივლისის ბრძანება № 98

### რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

1972 წლის 22 ივნის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიებმა მიიღეს ერთობლივი დადგენილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის სამმართველოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო იუსტიციის განყოფილებამ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესმა სასამართლოებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო საოლქო სასამართლომ, ქალაქების და რაიონების სახალხო სასამართლოებმა, საქართველოს სსრ იუსტიციის სხვა დაწესებულებებმა მიიღონ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს 1972 წლის 22 ივნისის დადგენილება „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" იმ ნაწილში, რომელიც ეხება იუსტიციის დაწესებულებებისა და სასამართლო ორგანოების მუშაობას.

2. აღნიშნული დადგენილების შესრულების კონტროლი დაევალოს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის წევრს, სამართლის პროპაგანდის სამმართველოს უფროსს ამხ. შ. ლ. პაპიძეს.

საქართველოს სსრ იუსტიციის
მ ი ნ ი ს ტ რ ი ვ. მაისურაძე

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიების დადგენილება

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

1972 წლის 22 ივნისი

კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობა განუყრელად არის დაკავშირებული საბჭოთა ადამიანის კულტურის, განათლების, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი შეგნებული დამოკიდებულების დონის ამაღლებასთან. „პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები,— ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობისადმი,— მოვალენი არიან ყველაფერი იღონონ, რათა უზრუნველყონ კანონების უმკაცრესი დაცვა, გააუმჯობესონ მშრომელთა სამართლებრივი აღზრდა. სამართლის, კანონის პატივისცემა თვითეული ადამიანის პირად მრწამსად უნდა გახდეს". მშრომელთა სამართლებრივი კულტურის ამაღლება, მოქალაქეთა აღზრდა კანონების დაცვის [illegible] და განუხრელი სულისკვეთებით ბევრად არის დამოკიდებული მოზარდ თაობასთან, სკოლის მოსწავლეებთან ამ მუშაობის სათანადო დონეზე მოწყობისაგან.

ამჟამად რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სათანადო მუშაობა ტარდება ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდისათვის; საშუალო სკოლების მე 10 კლასებში ისწავლება „საზოგადოებათმცოდნეობის" კურსი, მოსწავლეები ეცნობიან სახელმწიფოსა და სამართლის ზოგიერთ აქტუალურ საკითხებს; ქ. თბილისის, ქ. ფოთის, ხაშურის, გორის სიღნაღის და ზოგიერთი

სხვა რაიონის სკოლების IX—X კლასებში მიმდინარეობს სამარ-თალმცოდნეობის ფაკულტატიური სწავლება.

მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის და განათლების მიზნით სკოლები წარმატებით იყენებენ საზოგადოებათმცოდნეობის გაკვეთილებსა და „საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების“ ფაკულტატიურ მეცადინეობებს, აღრმავებენ და აფართოებენ უფროსკლასელთა ცოდნას სამართლის დარგში. მოსწავლეებს ზრდიან დისციპლინის, კანონიერებისა და წესრიგის მკაცრად დაცვის სულისკვეთებით, ხელს უწყობენ კომუნისტური საზოგადოების აქტიური და შეგნებული მშენებლის ჩამოყალიბებას. უვითარებენ ახალგაზრდობას ინტერესს სამართლის მეცნიერებისადმი.

რიგ სკოლებში სისტემატურად ტარდება სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის დარგში კლასგარეშე მუშაობა, ეწყობა ლექციები, საუბრები, კითხვა-პასუხის საღამოები, სემინარები საბჭოთა კანონმდებლობისა და დამნაშავეობასთან ბრძოლის აქტუალურ საკითხებზე, რომლის მომზადება-ჩატარებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ იუსტიციისა და სასამართლო ორგანოების, პროკურატურის მუშაკები.

ამასთან ერთად, რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში განათლების განყოფილებები და ადმინისტრაციული ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის საქმეს. ჯერ კიდევ არ არის ფართოდ დანერგილი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სამართალმცოდნეობის ფაკულტატიური სწავლება. პედაგოგები, რომლებიც სამართალმცოდნეობის ფაკულტატიურ მეცადინეობებს ატარებენ, განიცდიან მეთოდური წერილების, რეკომენდაციებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების უქონლობას. ზოგიერთ სკოლაში დაბალ დონეზეა მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის საქმე, რაც პირველყოვლისა აიხსნება იმით, რომ „საზოგადოებათმცოდნეობის“ და „საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების“ ფაკულტატიურ კურსს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც სათანადო თეორიული და მეთოდური მომზადება არა აქვთ და სუსტად ერკვევიან სამართლებრივ საკითხებში.

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საერთოდ მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდისა და კერძოდ „საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების“ გაუმჯობესების მიზნით სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიები ადგენენ:

1 აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის იუსტიციის განყოფილებამ, ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებმა ერთობლივად საფუძვლიანად შეისწავლონ მოსახლეობის სამართლებრივი კულტურის დონის ამაღლებაზე სადირექტივო ორგანოების დადგენილებათა შესრულება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ხაზით და მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების შესახებ შეიმუშაონ და გაატარონ კონკრეტული ღონისძიებანი.

2 აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

— უზრუნველყონ სახელმწიფოსა და სამართლის საკითხების უფრო საფუძვლიანი შესწავლა ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობისა და სხვა სათანადო საგნების სწავლების პროცესში.

— გაატარონ საჭირო ღონისძიებანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მე-9 და მე-10 კლასებში საბჭოთა კანონმდებლობის საფუძვლების ფაკულტატიური სწავლების უფრო მასობრივად შემოღების უზრუნველსაყოფად;

— უზრუნველყონ მოსწავლეებთან კლასგარეშე მუშაობის დროს მორალურ სამართლებრივ თემებზე საუბრების სისტემატური ჩატარება;

იუსტიციის ორგანოებთან ერთად ფართოდ დანერგონ სკოლებში ლექციების ციკლის, კითხვა-პასუხის საღამოების, მორალისა და სამართლის თემებზე დისპუტების მოწყობა.

3. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო იუსტიციის განყოფილებამ, ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებმა და იუსტიციის სხვა დაწესებულებებმა:

— განათლების ორგანოებსა და სკოლებს გაუწიონ სათანადო დახმარება სამართლებრივი აღზრდის ხასიათის ღონისძიებების ჩატარების საქმეში;

— ჩაატარონ შეხვედრები, საუბრები იურისტ-მეცნიერებსა და პრაქტიკოს მუშაკებისა მოსწავლეებთან, უფრო ღრმად გააცნონ მათ იუსტიციის ორგანოებისა და დაწესებულებების მოღვაწეობა, საბჭოთა კანონების მოთხოვნები, გააძლიერონ მოსწავლეებში სოციალისტური მართლმსაჯულების დაცვის პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობები, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინების ფაქტებისადმი შეურიგებლობის სულისკვეთება;

— უზრუნველყონ კვალიფიციური იურისტების აქტიური მონაწილეობა მასწავლებელთა, განათლების ორგანოებისა და სკოლების ხელმძღვანელთა სამართლებრივ მომზადებაში, რაიონებისა და ქალაქების მეთოდურ კაბინეტებში და სკოლების მეთოდგაერთიანებების ხაზით.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდურმა განყოფილებამ და საქართველოს სსრ იუსტიციის სამართლის პროპაგანდის სამმართველომ:

მიმდინარე 1972 წლის 1 ოქტომბრამდე მოამზადონ ინსტრუქციულ-მეთოდური წერილი მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის შესახებ სასწავლო და კლასგარეშე მუშაობის პროცესში, აგრეთვე საუბრების სანიმუშო თემატიკა მორალურ-სამართლებრივ საკითხებზე.

შეიმუშაონ მე-8 კლასებისათვის „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლების“ კურსის 35 საათიანი სასწავლო პროგრამა და 1972—1973 სასწავლო წლიდან მოაწყონ მისი საცდელი შემოწმება ექსპერიმენტული წესით.

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების განყოფილებამ და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სამართლის პროპაგანდის სამმართველომ ორგანიზაცია გაუწიონ ფაკულტატიური სწავლების დამხმარე სახელმძღვანელოს „სამართალმცოდნეობის საფუძვლები“ მომზადებას IX—X კლასების მოსწავლეთათვის;

— მოამზადონ წინადადებანი კინო-ფილმებისა და დიაფილმების, დამხმარე თვალსაჩინოების შესაქმნელად. აგრეთვე მოსწავლეთათვის სახელმძღვანელო და სამართლის საკითხებზე სამეცნიერო-პოპულარული ლიტერატურის გამოსაცემად.

6. გაზეთ „სახალხო განათლების“, ჟურნალების: „სკოლა და ცხოვრების“ და „საბჭოთა სამართლის“ რედაქციებმა სისტემატუ-

რად გააშუქონ მოსწავლეთა სამართლებრივი განათლებისა და აღზრდის საკითხები.

7. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო იუსტიციის განყოფილებამ, ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოებმა 1972 წლის 1 დეკემბრისათვის წარმოადგინონ ანგარიში ამ დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი ვ. მაისურაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდის საკოორდინაციო მეთოდური საბჭო

№ 16/28 11/VII 1072 წ.

## საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლის პროპაგანდის საკოორდინაციო მეთოდური საბჭოს რეკომენდაციები

„რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით მშრომელთა შორის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და საბჭოთა კანონიერების განმტკიცების მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ"

მოისმინა და განიხილა რა საბჭოს წევრის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ამხ. პ. შამათავას ინფორმაცია, საკოორდინაციო-მეთოდური საბჭო აღნიშნავს, რომ საქართველოს ტელევიზია და რადიო ამ დარგში მრავალმხრივ, თვალსაჩინო და ნაყოფიერ მუშაობას ატარებს.

სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებულია სამართლებრივი პროპაგანდის და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის ორგანიზაციის [illegible] სისტემა. კომიტეტთან შექმნილია სამართალმცოდნეების ტელე და რადიოუნივერსიტეტი სახელწოდებით — „ადამიანი და კანონი". სადღეისო აქტუალურ თემებზე გადაიცემა მაღალიდეური და პროფესიულ დონეზე მომზადებული საუბრები, კონსულტაციები, პასუხები შეკითხვებზე, ნარკვევები, რეპორტაჟები.

ავტორებად მოწვეული არიან პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერი იურისტები, საქ სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სასამართლო ორგანოების იოჯინავე მუშაკები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალსაჩინო მუშაობას ატარებენ ტელე და რადიო ჟურნალები: „ადამიანი და კანონი", კანონი და კანონიერება, „შოლტი", გადაცემები ციკლიდან; „სახელოვანი მამულიშვილები", „სამშობლო განა მარტო ლამაზი მთებია?!", „დიდები და პატარები" და სხვა.

სამართლებრივი აღზრდის აქტუალურ პრობლემებზე თემატურად მრავალფეროვანი, ჟანრობრივად და ფორმით საინტერესო ტელე და რადიოგადაცემები სარგებლობენ რესპუბლიკის მშრომელთა ფართო მასების მოწონებით, რაზეც მეტყველებს მათი მრავალი წერილი და გამოხმაურება.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიოს საშუალებით მშრომელთა შორის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და საბჭოთა კანონმდებლობის განმარტების საქმეს ჯერ კიდევ გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებები.

სამართალდარღვევათა ცალკეული ფაქტები ზოგიერთ შემთხვევაში გადაიცემა ზერელედ. კვალიფიციური კომენტარების გარეშე, რაც ამცირებს პროპაგანდისტულ, აღმზრდელობით ზემოქმედებას, საზოგადოების აზრის ფორმირებაზე და მოქალაქეთა მართლშეგნებაზე.

მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლებისათვის აღმზრდელობით და პროპაგანდისტულ მუშაობაში რადიო-ტელევიზია ნაკლებად აბამს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკებს.

ზოგჯერ გადაცემულ მასალებში წინასწარ, სასამართლო განაჩენის გამოტანამდე ასახელებენ პირებს დამნაშავეებად.

რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიოს საშუალებებით მშრომელთა შორის სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და საბჭოთა კანონმდებლობის განმარტების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით საკოორდინაციო მეთოდური საბჭო საჭიროდ თვლის:

1. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, პროკურატურამ, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სასამართლო ორგანოებმა, საკოორდინაციო მეთოდურმა საბჭომ უფრო აქტიურად შეუწყონ

ხელი ტელევიზიისა და რადიოს მუშაკებს სამართლებრივი აღზრდისა და პროპაგანდის საკითხებზე გადაცემათა თემების და ავტორთა შერჩევაში, გადაცემების მაღალხარისხოვნად მომზადებაში, მათი ქმედითობისა და ეფექტიანობის ამაღლებაში.

2. წინადადება მიეცეს აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ იუსტიციის სამინისტროებთან და სამხრეთ ოსეთის ა/ო მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის იუსტიციის განყოფილებასთან არსებულ საკოორდინაციო მეთოდურ საბჭოებს და რესპუბლიკის რაიონების (ქალაქების) სახალხო სასამართლოებს შეიმუშაონ სამართლებრივი პროპაგანდისა და მოქალაქეთა სამართლებრივი აღზრდის საქმეში ადმინისტრაციული ორგანოებისა და ადგილობრივი რადიო-გადაცემების რედაქციების თანამშრომლობის მდგომარეობის გაუმჯობესების პერსპექტიული გეგმები.

3. საჭიროდ იქნეს მიჩნეული საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან საზოგადოებრივ საწყისებზე არსებულ რესპუბლიკის მოსახლეობის მართლშეგნების კონკრეტული სოციოლოგიური გამოკვლევების ჯგუფების მიერ საქართველოს ტელევიზიისა და რადიოში სამართლებრივი აღზრდისა და პროპაგანდის საკითხებზე გადაცემული მასალების ეფექტიანობის დადგენის მიზნით მათი შესწავლა და შედეგების ერთობლივი განხილვა საკოორდინაციო-მეთოდური საბჭოსა და ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს და ადგილობრივ რადიო-გადაცემათა რედაქციებს მიეცეთ რეკომენდაცია სამართლის პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით გადასცენ მასალები საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1971 წლის 27 ივლისის დადგენილებით „სამართალ-დარღვევათა თავიდან აცილებისა და პროფილაქტიკის მუშაობის გაძლიერება სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის მოთხოვნების შესაბამისად" რეკომენდირებულ თემებზე: სამართალდარღვევათა თავიდან აცილება და პროფილაქტიკა — დამნაშავეობასთან ბრძოლის გენერალური ხაზია. ბრძოლა მექრთამეობასთან, მტაცებლობასთან, მუქთახორობასთან, ხულიგნობასთან, ლოთობასთან. არასრულწლოვანთა სამართალდარღვევებთან, რეციდივულ დანაშაულთან. ნასამართლევი პირების შრომითი და საყოფაცხოვრებო მოწყობა.

რეკომენდაცია მიეცეთ უფრო ხშირად გადასცენ რადიო-ტელევიზიის საშუალებით ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკების გამოსვლები სამართალდარღვევათა თავიდან აცილების მუშაობის გამოცდილებასა და ამოცანებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ეთხოვოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქციებსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს. საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად შეარჩიონ სამართლებრივი აღზრდისა და პროპაგანდის საკითხებზე საქართველოს ტელევიზიასა და რადიოში გადაცემული საუკეთესო მასალები და გამოაქვეყნონ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, გამოსცენ ცალკე კრებულის სახით.

6. დაევალოს საბჭოს წევრებს მიიღონ ყველა ზომები ამ რეკომენდაციების ცხოვრებაში გასატარებლად.

7. აღნიშნული რეკომენდაციები დაეგზავნოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, ადგილობრივი რადიოგადაცემების რედაქციებს, ყველა დაინტერესებულ სამინისტროებს უწყებებსა და ორგანიზაციებს.

საქართველოს სსრ იუსტიციის
სამინისტროსთან არსებული სამართლის
პროპაგანდის საკოორდინაციო-მეთოდური
საბჭოს თავმჯდომარე ზ. რატიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 10 ივლისის ბრძანება № 405

ზემდგომმა ორგანოებმა განიხილეს საკითხი ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ.

მიღებულ დადგენილებაში მიღწევების გვერდით აღნიშნულია ტექნიკური და სპეციალური ბიბლიოთეკების მუშაობაში არსებული ხარვეზებიც. კერძოდ, გამოუყენებელი საბიბლიოთეკო ფონდების ხვედრითი წონა აღწევს 58 პროცენტს, არასათანადოდაა ორგანიზებული ინფორმაცია ბიბლიოთეკებში შემოსული ახალი ლიტერატურის შესახებ, დიდი ხარვეზებით ხასიათდება მასობრივი მუშაობა მკითხველებს შორის, იშვიათად ეწყობა მკითხველთა კონფერენციები, გამოფენები, ზოგი ბიბლიოთეკისა შეუფერებელ სათავსოებშია, აკლიათ ინვენტარი და მოწყობილობა და ა. შ.

ზემოაღნიშნული დადგენილების შესრულების მიზნით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციამ (ამხ. გრ. საჯაია) პედაგოგთა ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით „სკოლა და ცხოვრებაში“, აგრეთვე მის დამატებებში სისტემატურად მოათავსოს ინფორმაცია ი. გოგებაშვილის სახელობის განათლების სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკაში ახლად შემოსული ლიტერატურის და საბიბლიოთეკო მუშაობის მეთოდიკის შესახებ;

2. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექციამ (ამხ. ვ. გოგოლაძე):

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) გააფართოოს თბილისში და რაიონებში მასობრივი ღონისძიებების ჩატარება (პედაგოგიური ლიტერატურის გა ხილვა, მკითხველთა კონფერენციები, შეხვედრები, გამოფენები, ბიბლიოგრაფიული მიმოხილვები, ლექცია-საუბრები და სხვა);

ბ) გააძლიეროს მოძრავი ბიბლიოთეკის, ბშა და დაუსწრებელი აბონემენტით მასწავლებელთა ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული მომსახურება;

გ) წამოაყენოს წინადადებანი ბიბლიოთეკის შენობის გაფართოებისა და საჭირო ინვენტარის-ხელსაწყოთა შეძენის შესახებ ა/წ 1 სექტემბრამდე;

დ) მჭიდრო კავშირი დაამყაროს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის დირექციასა და ბიბლიოთეკასთან რესპუბლიკის მასშტაბით მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკურსო ღონისძიებების პერიოდში მსმენელთა ბიბლიოთეკურ-ბიბლიოგრაფიული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით;

გ) ჩაატაროს სასკოლო ბიბლიოთეკების აღრიცხვა და მის საფუძველზე წარმოადგინოს განათლების სამინისტროში წინადადებები;

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა მიაღწიონ იმას, რომ მასწავლებლებმა 1972 წლის პირველ სექტემბრიდან შეიმუშაონ კვალიფიკაციის ამაღლებისათვის წიგნზე მუშაობის ინდივიდუალური გეგმები და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცების შემდეგ მოსთხოვონ პედაგოგიური, აგრეთვე სხვა უწყებრივ ბიბლიოთეკებს გაუწიონ მათ დახმარება საჭირო ლიტერატურით. განათლების ორგანოებმა თავიანთ ანგარიშში მოახსენონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

4 გაზეთ „სახალხო განათლებისა" და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" რედაქციებმა სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები მასწავლებელთა თავის იაკზე მუშაობისა და ბიბლიოთეკურ ბიბლიოგრაფიული მომსახურების შესახებ.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 6 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 10 ივლისის ბრძანება № 406

**ხაშურის, ქარელის, ამბროლაურის, ონის, გურჯაანის, სიღნაღისა და თეთრიწყაროს რაიონების ქართულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა, აგრეთვე კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობის მიერ საბჭოთა სკოლის მუშაობის სრულყოფისა და განვითარების დარგში მიღებული დადგენილების შესაბამისად სათანადო ორგანიზაციული და მეთოდური ღონისძიებები შეიმუშავა, რომლებიც თანდათანობით შედის სკოლის ცხოვრებაში და ხორციელდება: გამოიცა რუსული ენისა და ლიტერატურის მეცნიერების თანამედროვე მიღწევათა შესაბამისად სრულიად გადამუშავებული სასწავლო პროგრამები, ახალი სახელმძღვანელოები II, IV, V და VIII კლასებისათვის, წარმოებს მუშაობა III, VII და X კლასების სახელმძღვანელოების ახალი პროგრამების შესაბამისად გადამუშავება-შედგენაზე, გამოიცა ახალ მოთხოვნათა შესაბამისად გადამუშავებული წერის ნორმები, წერითი ნამუშევრების გასწორების მეთოდიკის, წერის სახეების დებულება, უკანასკნელ წლებში გამოიცა სავარჯიშოთა ორი კრებული მორფოლოგიასა და სინტაქსში, ამჟამად წარმოებაშია სავარჯიშოთა კრებული რუსულ ენაში უფროსი კლასებისათვის, იბეჭდება და მასწავლებლები უახლოეს დროში მიიღებენ რუსული ორთოგრაფიის სწავლების მეთოდიკის კურსს რვაწლიანი სკოლე-

ზისათვის, პედაგოგიური საზოგადოების ხაზით დაგეგმილია ორი კრებულის გამოცემა, რომლებშიც გაშუქებული იქნება ახალი პროგრამებით რუსული ენის საკვანძო საკითხების სწავლება, რუსული ენის მასწავლებლებს სათანადო დახმარებას უწევს სპეციალური ჟურნალ-დამატება „რუსული ენა ქართულ სკოლაში".

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში, ფილიალებში და უმაღლეს სასწავლებლებთან შექმნილ მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე მარტო 1970—1971 სასწავლო წელს—გადამზადდა 5732 II, IV, და VIII კლასების მასწავლებელი.

რეგულარულად ტარდება რესპუბლიკური და ადგილობრივი პედაგოგიური კითხვები, რომელშიაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების ხარჯზე ყოველწლიურად ახალ-ახალ შევსებას ღებულობენ დაწყებითი, რვაწლიანი და საშუალო სკოლები.

ყოველივე ამის შედეგად რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების სა[illegible] უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა. უფრო მდიდარი გახდა მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა. გაიზარდა მათი სამეტყველო ლექსიკის მარაგი, ახალი პროგრამების სასაუბრო მონაკვეთებმა და თემატიკამ უფრო სისტემატური და მთლიანი ხასიათი მიიღო. ამან კი ხელი შეუწყო სკოლაში რუსული ენის სამეტყველო პრაქტიკის დანერგვას. ახლა იშვიათი როდია, როცა ქართულ სკოლადამთავრებული მოსწავლეები სწავლას განაგრძობენ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში.

რუსული ენის სწავლების მდგომარეობის შესწავლამ ხაშურის, ქარელის, ონის, ამბროლაურის, სიღნაღის, გურჯაანისა და თეთრიწყაროს რაიონებში გვიჩვენა, რომ ენერგიული, საქმის მოყვარული მასწავლებლები გარკვეულ წარმატებას აღწევენ რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების საქმეში. ასეთ მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნიან: დ. აბუთიძე, ა. მემახიშვილი, ვ. ჯაფარიძე (ამბროლაურის პირველი საშ. სკოლა), ნ. დონაძე, ა. ჯანელიძე (ამბროლაურის მეორე საშუალო სკოლა), ვ. ქათამაძე (ამბროლაურის რაიონის სადმელის საშ. სკოლა), ზ. ჩაგელაშვილი (ონის

რაიონის ირის საშ. სკოლა), გ. ტაბუცაძე (ონის რაიონის სორის
საშ. სკოლა), ნ. ლობჟანიძე, ფ. გავაშელი, ნ. ბრეგვაძე (ონის რაი-
ონის ღების საშ. სკოლა), მ. ხახიშვილი, ე. ბურდილაძე (ონის
რაიონის შეუბნის საშ. სკოლა), გ. ლებანიძე, მ. კარმაზოვა (ონის
საშ. სკოლა), ვ. გავაზაშვილი, ლ. შაპირანი, ლ. ყილცოვა (ქარელის
მესამე საშ. სკოლა), რ. ჯუკაევა (ქარელის რაიონის ბებნისის რვა-
წლიანი სკოლა), ქ. ცხვედიანი, გ. ნოვოსელცოვა (თეთრ წყაროს
ქართული საშ. სკოლა) და სხვ. ისინი კარგად არიან გაცნობილი
ახალ სასწავლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებს, პასუხის-
მგებლობით ეკიდებიან ყოველი გაკვეთილის ჩატარებას, სისტემა-
ტურად იმაღლებენ მეთოდურ და ზოგადპედაგოგიური ცოდნის
დონეს, ენერგიულად, მთელი მონდომებით და საქმის სიყვარულით
გადასცემენ თავიანთ ცოდნას მოსწავლეებს.

ამასთანავე აღვნიშნავ, რომ შემოწმებული სკოლების მოს-
წავლეთა საერთო მომზადების დონე რუსულ ენასა და ლიტერა-
ტურაში ჯერ კიდევ ძალიან დაბალია. ისინი ვერ ფლობენ პრო-
გრამით გათვალისწინებულ ლექსიკას, ვერ მეტყველებენ რუსულ
ენაზე და უჭირთ დასმულ კითხვებზე პასუხების გაცემა. მერვე,
მეცხრე და მეათე კლასის მოსწავლეების დიდი ნაწილი ვერ პასუ-
ხობს ელემენტარულ კითხვებზეც კი, დაბალია წერის კულტურა
(კრაფიკა, ორთოგრაფია, აზრის წერილობით გადმოცემა), ვერ
ახერხებენ უშეცდომოდ ტექსტის წაკითხვას, უჭირთ პროგრამით
გათვალისწინებული მასალის თარგმნა ქართულად ან რუსულად და
პირიქით. გრამატიკული მასალა ძირითადად დაზეპირებული აქვთ
და ვერ ახერხებენ შესწავლილი წესების პრაქტიკულად გამოყენე-
ბას არა მარტო მეტყველებაში, არამედ გრამატიკული გარჩევის
დროსაც კი. იმის გამო, რომ განვლილი მასალის განმეორება არა-
სისტემატურად, შემთხვევიდან შემთხვევამდე ტარდება, ხშირად
მოსწავლეებს სრულიად დავიწყებული აქვთ წინა მეოთხედში გან-
ვლილი მასალა. მოსწავლეთა უმრავლესობამ სუსტად იცის პრო-
გრამით გათვალისწინებული თეორიული მასალაც.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეთა ცოდნა ძალ-
ზე დაბალია ხაშურის პირველ და ხაშურის რაიონის ტეზერის სა-
შუალო სკოლებში (მასწ. ს. ცაცანაშვილი, ვ. საცერაძე, ვ. ხუ-
ციშვილი, ძ. კაპაძე, მ. გურასაშვილი), ქარელის რაიონის ბებნი-
სის რვაწლიან სკოლაში (მასწ. ი. მამიევა — იგი აგრეთვე მუ-
შაობს ქარელის რაიონის განათლების სასკოლო ინსპექტორად),

ონის რაიონის ირის საშუალო სკოლაში (მასწ. ა. მეტრეველი), ონის რაიონის სორის საშ. სკოლაში (მასწ. გ. როსნაძე), ამბრო-ლაურის რაიონის სადმელის საშ. სკოლაში (მასწ. ნ კლიმიაშვილი), ამბროლაურის რაიონის ქელიაღელის საშ. სკოლაში მას. ვ. დო-ხნაძე), თეთრიწყაროს რაიონის ერეთის საშ. სკოლაში (მასწ. თ. იგიტოვა, ე. ახუნჯანოვა), თეთრიწყაროს რაიონის ჩხრკვამთის რვა-წლიანი სკოლაში (მასწ. ნ. მაისურაძე), თეთრიწყაროს რვაწლიან სკოლა-ინტერნატში (მასწ. ლ. ბერდული, ი. ასლიევა, თ. ნოზაძე), თეთრიწყაროს რაიონის ასურეთის საშ. სკოლაში (მასწ. ნ. რეხვია-შვილი, თ. პაქსაშვილი), თეთრი წყაროს რაიონის ბოგვის საშ სკო-ლაში (მ სწ. ი სალარიძე), სიღნაღის რაიონის ბოდბისხევის საშ. სკოლაში (მასწ. ნ. ნეჩეგა) და სხვ.

ნაკლოვანებებით ხასიათდება რუსული ენისა და ლიტერატუ-რის სწავლება აგრეთვე ხაშურის მესამე საშ. სკოლაში (მასწ მ. ტყემალაძე, მ. გოკოლაძე, გ. ნადირაშვილი), სურამის მესამე საშ. სკოლაში (მასწ, ლ. კირიჩენკო, მ ქურხაძე, ნ. ჯიქაშვილი), ქარე-ლის რაიონის ბრეთის საბჭოთა მეურნეობის საშ. სკოლაში (მასწ. თ. ზექალაშვილი, ვ. უ ოტაძე).

დასახელებული მასწავლებლები განსხვავდებიან ერთმანეთი-საგან როგორც ცოდნით, საერთო განათლებით, ასევე საქმისადმი დამოკიდებულებით, მარივ მაგრამ მათი ცუდი მუშაობის უარყო-ფითი შედეგი მეტად დიდია, რაც ძირითადად მისი საკუთარი პროფესიისადმი გულგრილ დამოკიდებულებაში, უმოქმედობაში, საქმისადმი ინდიფერენტულ განწყობილებაში გამოიხატება. მათ სათანადო პედაგოგიური განათლება აქვთ მიღებული, მაგრამ არც უმაღლეს სასწავლებელს, არც პროფესიისა და შრომისადმი პრაქ-ტიკულ დამოკიდებულებას მათში არ გაუღვივებია საქმისადმი სი-ყვარული, ამიტომ მომზადებით სასკოლო სახელმძღვანელოების დონეზე არიან და ზოგი კიდეც ჩამორჩება ამ დონეს (მ. კოპაძე, მ. გურასაშვილი, გ. როსნაძე, ნ. კლიძიუკი, ნ მაისურაძე). მას-წავლებელთა უმრავლესობა მეთოდური მოუმზადებლობის მიზეზად ლიტერატურის უქონლობას ასახელებს, მაგრამ შემოწმებული სა-შუალო და ზოგან რვაწლიანი სკოლების ბიბლიოთეკებში საკმაო რაოდენობით მოიპოვება მეთოდური ლიტერატურა, რომელსაც არავინ კითხულობს. ეს მასწავლებლები ცუდად ან სრულებით არ იცნობენ სასწავლო პროგრამებს, რომლებშიც ჯეროვნადაა განმარ-ტებული ყველა სახის შესასწავლი მასალის გადაცემის ზოგადი

ხერხები და მოთხოვნები, ფორმალურად ასწავლიან ლექსიკას—რუსული ენის დაუფლების ძირითად საშუალებას. ლექსიკაზე მუშაობას არ აქცევენ ყურადღებას არც ახსნის და არც გამოკითხვის დროს. არ აწარმოებენ პროგრამით გათვალისწინებულ ლექსიკონებს და თუ ზოგჯერ ამ მუშაობას ატარებენ, მის სწორ წარმოებას არ ექცევა სათანადო ყურადღება, გაკვეთილს ატარებენ სრულიად მოუმზადებლად, არაიშვიათად ასახსნელ მასალას თვითონ პირველად გაკვეთილის ახსნის დროს კითხულობენ. არავითარ ყურადღებას არ აქცევენ ზეპირ მეტყველებაში ვარჯიშს. არ ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ საუბრებს. ეს მასალა მთელი წლის განმავლობაში შესწავლის საგანია და ამიტომ ჟურნალში ისევე უნდა აღირიცხებოდეს, როგორც საკითხავი ან გრამატიკული მასალა. თვალსაჩინოებაზე და ტექნიკურ საშუალებებზე რომ არაფერი ვთქვათ, სრულიად არ იყენებენ მეტყველების განვითარებისათვის სახელმძღვანელოებში მოცემულ თვალსაჩინოებას. არავითარ ყურადღებას არ აქცევენ პროგრამულ კლასგარეშე მასალის შესწავლას. ხშირად გაკვეთილებს ატარებენ ქართულ ენაზე, არ ასრულებენ ინსტრუქციით გათვალისწინებულ წერის ნორმებსა და სახეებს, გასწორების მეთოდიკას. არაიშვიათად საკონტროლო წერები ფორმალურად ტარდება. მოსწავლეთა საშინაო წერები ფორმალურად არსებობენ. მეთოდგაერთიანებები მხოლოდ ქაღალდზე არსებობს და არავითარ საქმიანობას არ ეწევიან. დასახელებული სკოლების დირექტორები და მათი მოადგილეები სასწავლო ნაწილში არასერიოზულად ეკიდებიან ამ მეტად მნიშვნელოვანი ენის სწავლების საქმეს, ისინი იშვიათად ისმენენ რუსული ენის გაკვეთილებს და, თუ ისმენენ, ვერ აძლევენ მასწავლებლებს საჭირო მითითებებს იმის გამო, რომ საგანგებოდ არ ემზადებიან მოსასმენი გაკვეთილისათვის. ამიტომ მათი ჩანაწერები მოსმენილი გაკვეთილების შესახებ ზერელე, ზოგადი და უსარგებლოა. სკოლის დირექტორის უპასუხისმგებლობის ნიმუშს წარმოადგენს ხაშურის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის თამარ ცინცაბაძის დამოკიდებულება საერთოდ სასწავლო-აღმზრდელობითი საქმისადმი სკოლაში, და კერძოდ, რუსული ენის სწავლებისადმი. მას წლის ბოლოსათვის არცერთი გაკვეთილი არ ჰქონია მოსმენილი. აღნიშნულ სკოლებში იშვიათად ტარდება ღია გაკვეთილები, რომლებსაც გამოცდილების გაზიარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

განათლების განყოფილებები იშვიათად ახდენენ რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების ინსპექტირებას. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, ქარელის რაიონის განათლების განყოფილების სასკოლო ინსპექტორი ი. მამიევი თვითონ ატარებს ყველაზე ცუდ გაკვეთილებს, არღვევს გაკვეთილების ცხრილის შედგენის დადგენილ წესს.

რესპუბლიკის ქართულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების გაუმჯობესების მიზნით ვბრძანებ:

1. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი რუსული ენის მასწავლებელთა მუშაობაზე, მიაღწიონ იმას, რომ ყოველი მასწავლებელი საფუძვლიანად ემზადებოდეს გაკვეთილისათვის და მოსწავლეებს უზრუნველყოფდეს რუსული ენის მტკიცე ცოდნით.

ბ) სისტემატური ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენების საქმეს, რუსული ენის მეთოდგაერთიანების ინსპექტორების საშუალებით რეგულარულად შეისწავლონ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობა და შემოწმების შედეგები მოისმინონ განათლების საბჭოს სხდომაზე.

გ) ყოველმხრივ შეუწყონ ხელი პედკაბინეტებთან არსებულ რუსული ენის სექციის მუშაობას. მიაღწიონ იმას, რომ რეგულარულად ეწყობოდეს ამ სექციების სხდომები, რომლებზეც მასწავლებლები ერთმანეთს გაუზიარებენ მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას და საქმიანად განიხილავენ ყოველ მნიშვნელოვან საკითხს რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაში.

დ) რაიონის განათლების განყოფილებებმა აიღონ სკოლების სპეციალური განათლების მქონე რუსული ენის მასწავლებლებით დაკომპლექტებისათვის. იზრუნონ რუსული ენის ახლადდანიშნულ მასწავლებელთა ადგილებზე შენარჩუნების მიზნით მათი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

2. სკოლის დირექტორებმა და სასწავლო ნაწილის გამგეებმა:

ა) სათანადო სიმაღლეზე აიყვანონ შიდასასკოლო ხელმძღვანელობა და კონტროლი რუსული ენის სწავლებაზე. არ დაუშვან რუსული ენის მასწავლებელთა მიერ გაკვეთილების მოუმზადებლად ჩატარება, მიაღწიონ, რომ რუსული ენისა და ლიტერატურის ყველა გაკვეთილი ტარდებოდეს საფუძვლიანად თვალსაჩინოებისა და ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით.

ბ) გაკვეთილების ცხრილი შეადგინონ პედაგოგიურ მოთხოვნათა ზუსტი დაცვით.

გ) გააქტიურონ მეთოდური მუშაობა სკოლაში, შეისწავლონ და განიხილონ პედსაბჭოსა და რუსული ენის საგნობრივ მეთოდურ გაერთიანებათა სხდომებზე რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების აქტუალური საკითხები.

დ) არსებითად გააუმჯობესონ რუსული ენისა და ლიტერატურის სასკოლო მეთოდურ გაერთიანებათა მუშაობის შინაარსი, ამაღლონ რუსული ენისა და ლიტერატურის სასკოლო წრეების მუშაობა.

3. ქარელის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. ნ. გოგიჩაიშვილი) საგნის სწავლების არადამაკმაყოფილებლად დაყენებისათვის გაათავისუფლოს ინსპექტორის თანამდებობიდან ი. მამიევი და მის ადგილას შეარჩიოს სხვა სპეციალისტი.

4. თეთრიწყაროს, ონის, ამბროლაურის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. დ. ბექაური, შ. რეხვიაშვილი, ძ. ჭილვარია) მომავალი სასწავლო წლიდან სათანადო კვალიფიკაციის უქონლობის გამო ჩამოართვან რუსული ენის გაკვეთილები ნ. მაისურაძეს (თეთრიწყაროს რაიონის ჩხიკვამთის რვაწლიანა სკოლა), ა. მეტრეველს (ონის რაიონის ირის საშ. სკოლა), გ. როსნაძეს (ონის რაიონის სორის საშ. სკოლა), ნ. კლიმჩუკს (ამბროლაურის რაიონის სადმელის საშუალო სკოლა), ვ. დოხნაძეს (ამბროლაურის რაიონის ჭელიაღელის საშ. სკოლა).

5. ხაშურის, ქარელის, ამბროლაურის, ონის, გურჯაანის, სიღნაღისა და თეთრიწყაროს რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ადმინისტრაციული სასჯელი დაადონ ბრძანებაში აღნიშნულ სუსტად მომუშავე მასწავლებლებსა და სკოლების ხელმძღვანელებს

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (ამხ. ა. ჩხიკვაძე):

ა) სისტემატური და ზუსტი კონტროლი დააწესოს საქართველოს სსრ ეროვნულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლებაზე.

ბ) შეისწავლოს ქარელის № 3 საშუალო სკოლის დირექტორის მოწინავე გამოცდილება და მიიღოს ზომები მის განსაზოგადებლად;

ბ) მიმდინარე წლის IV კვარტალში შეამოწმოს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა ხაშურის № 1 საშუალო სკოლაში.

7. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი):

ა) გადაახალისოს დახელოვნების კურსების პროგრამა[illegible]სულ ენაში იმ ანგარიშით, რომ უფრო მეტი დრო გამოეყოს პრაქტიკულ სალაპარაკო ენას;

ბ) ენის პრაქტიკულად დაუფლების მიზნით უზრუნველყოს ადგილებზე კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების ორგანიზაცია;

8. აღნიშნული ბრძანება განხილულ იქნეს განათლების განყოფილებების საბჭოსა და სკოლების პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 30 ივნისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“
1972 წ. 13 ივნისის ნომერში
(№ 137)

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წ. 19 ივლისის ბრძანება № 415

## ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ

ვაქვეყნებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ ამ ბოლო წლებში განუხრელად იზრდება რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობა. მაღლდება მათი ეკონომიური და კულტურული დონე. მცირდება დამნაშავეობა.

ამასთან ერთად რესპუბლიკაში ჯერ კიდევ აღინიშნება მავნე ჩვევების ისეთი გადმონაშთი, როგორიცაა ლოთობა.

ცალკეული პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციები, ადმინისტრაციული ორგანოები საკმაო ბრძოლას არ ეწევიან ლოთობის წინააღმდეგ. შეუწყნარებლობის ვითარებას არ ქმნიან იმ პირთა გარშემო, რომლებიც ალკოჰოლს ეძალებიან. არის შემთხვევები, როდესაც ეწყობა ხალხმრავალი ზეიმები და ქეიფები, რომლის დროს მეტისმეტად ეტანებიან სპირტიან სასმელებს.

ამის შედეგად არის ხულიგნობისა და სხვა დანაშაულობათა შემთხვევები, რომლებიც ჩადენილია ალკოჰოლით დათრობის დროს.

დაკავებულ მთვრალ პირთა შორის ცოტა როდია სკკპ, სრულიად საკავშირო ალკკ წევრები, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები. ბევრ შემთხვევაში კომუნისტთა და ხელ-

მძღვანელ მუშაკთა მიერ ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების ფაქტები აღარ მიაჩნიათ პარტიული ეთიკისა და დისციპლინის უხეშ დარღვევად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოზული ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ არის ღვინო-არყის ნაწარმის ვაჭრობაში. საზოგადოებრივი კვების ბევრ საწარმოში სპირტიანი სასმელები განუსაზღვრელი რაოდენობით იყიდება იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც მყიდველი არაფხიზელ მდგომარეობაშია ან არასრულწლოვანია.

რესპუბლიკაში საჭირო მასშტაბით არ ხორციელდება კომპლექსური მეცნიერული გამოკვლევები, რომელთა მიზანია ალკოჰოლიკთა მკურნალობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა, არ არსებობს სათანადო მატერიალური ბაზა.

პროკურატურის ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ არ ეხმაურებიან ალკოჰოლიანი სასმელების ვაჭრობის დადგენილი წესების დარღვევას, რომლებიც ზღუდავენ მათ გაცემას საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, პასუხისმგებაში არ აძლევენ ამ საწარმოების ხელმძღვანელებს.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ადგილობრივი ორგანოები სუსტად იბრძვიან საზოგადოებრივ ადგილებში მთვრალ მოქალაქეთა გამოჩენის ფაქტების წინააღმდეგ.

ზეპირ და ბეჭდვითს პროპაგანდაში, კინოფილმებსა და ტელეგადაცემებში არადამაკმაყოფილებლად შუქდება ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, საკმაოდ არ წარმოებს ჯანსაღ ადამიანზე ალკოჰოლის დამღუპველი გავლენის, მისი ამორალური და ანტისაზოგადოებრივი რაობის განმარტება.

„ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 16 მაისის დადგენილების შესაბამისად საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გადამწყვეტი და შეუპოვარი ბრძოლა აწარმოონ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, რისთვისაც:

— ფართოდ გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობა კოლექტივებსა და მოსახლეობაში ეროვნული სისტემატურად ამჟღავნებსონ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ პროპაგანდის ფორმები და მეთოდები;

— აღმოფხვრან ხალხმრავალი ზეიმებისა და ქორწილების მოწყობის ჩვეულებანი, რომლის დროსაც უზომოდ ხმარობენ ალკოჰოლიან სასმელებს;

— გააძლიერონ იმ პირთა მიმართ საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ზემოქმედების ეფექტიანობა, რომლებიც ეძალებიან ალკოჰოლს;

— ფართო საზოგადოებრიობას გააცნონ და საჯარო დაგმობის საგნად გახადონ დანაშაულებრივ გამოვლინებათა შემთხვევები, რომლებიც ჩადენილია სპირტიანი სასმელების უზომოდ ხმარების შედეგად.

2. საქართველოს კომუნისტური პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა პარტიული ზემოქმედების მკაცრი ზომები მიიღონ იმ კომუნისტთა მიმართ, რომლებიც არაფხიზელ მდგომარეობაში გამოცხადდებიან სამუშაოზე, საზოგადოებრივ ადგილებში და უღირსად იქცევიან ყოფაცხოვრებაში.

3. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრომ:

— შეამცირონ 1972 წელს არაყისა და არაყის ნაწარმის წარმოების გეგმა 200 ათასი დეკალიტრით, ხოლო 1973 წელს—300 ათასი დეკალიტრით;

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მაგარი სპირტიანი სასმელების წარმოების შემდგომ შემცირებას და ყურძნის ღვინის, წვენის, უალკოჰოლო სასმელებისა და ლუდის წარმოების გადიდებას.

4. დაევალოს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას, სავაჭრო ქსელის მქონე სხვა სამინისტროებსა და უწყებებს:

— შეამცირონ იმ მაღაზიების რიცხვი, სადაც ალკოჰოლიანი სასმელები იყიდება, აკრძალონ ამ სასმელების ვაჭრობა წვრილსაცალო სავაჭრო ქსელში, ყველა სასადილოსა და ბუფეტში, აგ-

რეთვე სპეციალიზებულ მაღაზიებში (გარდა იმ მაღაზიებისა, რომლებიც სპეციალიზებული არიან ხილის, ბოსტნეულის, თევზისა და კონსერვის ვაჭრობაზე, სადაც შეიძლება შამპანურის, ყურძნისა და ხილკენკრის ღვინისა და 30 პროცენტამდე სიმაგრის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა);

— აკრძალონ არაყისა და 30 პროცენტიანი და მეტი სიმაგრის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა სავაჭრო საწარმოებში, რომლებიც მდებარეობენ საწარმოებისა და მშენებლობებ ის, სასწავლებლების, საბავშვო დაწესებულებების, საავადმყოფოების, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების, ვაგზლების, გემთმისადგომების, აეროპორტების, კულტურული და სანახაობითი საწარმოების განლაგების რაიონში, აგრეთვე მშრომელთა მასობრივი სეირნობისა და დასვენების ადგილებში;

— დაწესდეს, რომ არაყისა და 30 პროცენტი და მეტი სიმაგრის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა შეიძლება საცალო სავაჭრო ქსელში არა უადრეს დილის 11 საათისა და არაუგვიანეს საღამოს 19 საათისა;

— კატეგორიულად აკრძალონ ყველგან ყოველგვარი ალკოჰოლიანი სასმელების მიყიდვა მთვრალი პირებისა და არასრულწლოვანებისათვის.

დაწესდეს, რომ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ყოველ საწარმოს, სადაც ალკოჰოლიანი სასმელები იყიდება (მაღაზია, ლუდის ბარი, რესტორანი და სხვ.), უნდა ჰქონდეს სპეციალური ნებართვა, გაცემული მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის განყოფილების მიერ. ნებართვაში უნდა იყოს აღნიშნული საწარმოს მისამართი, მუშაობის საათები, რა სახეობის სასმელები იყიდება, გაყიდვის სახეობა (ჩამოსხმით ან გატანით) და სხვა საჭირო მონაცემები

ალკოჰოლიანი სასმელებით ვაჭრობის წესები (მათი დარღვევისათვის სასჯელის ზომების აღნიშვნით) უნდა გამოიკრას ყველა საწარმოს თვალსაჩინო ადგილებზე, სადაც ეს სასმელები იყიდება.

5. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის გამგეობას და სავაჭრო ქსელის მქონე სხვა სამინისტროებსა და უწყებებს:

— სასტიკ პასუხისგებაში მისცენ ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკები ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვის დადგენილი წესის დარღვევისათვის;

— მიიღონ ზომები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ისეთ საწარმოთა ქსელის გაფართოებისათვის, სადაც ჩამოსხმით გაიყიდება ლუდი, წვენი და სხვა უალკოჰოლო სასმელები;

— უზრუნველყონ 1972—1975 წლებში ლუდის ბარების გახსნის დავალებათა უცილობლივ შესრულება, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 18 თებერვლის № 78 დადგენილებით „ლუდისა და ნაყინის წარმოების გაფართოებისა და მათი ვაჭრობის გაუმჯობესების შესახებ;

6. საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურეობის სამინისტროსთან, ცეკავშირის გამგეობასთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტთან, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ერთად:

— მიიღონ ზომები, რათა გაფართოვდეს სპორტული მოედნების ქსელი, მოეწყოს ახალგაზრდობის კაფეები, განხორციელდეს სანახაობითი და სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, საინტერესო, კულტურულ და შინაარსიან დასვენებას;

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მშრომელთა დასვენების ქალაქგარეთ ბაზების ქსელის გაფართოება, გამოიყენონ ამისათვის, კერძოდ, პიონერთა ბანაკების სადგომები ბავშვთა მომსახურებისაგან თავისუფალ დროს;

— უზრუნველყონ კინოფილმების საჩვენებელი დამატებითი პავილიონებისა და მოედნების, სამკითხველოების, ნავსადგურების, სპორტული, კულტურულსაყოფაცხოვრებო ინვენტარისა და ტურისტული საჭურვლის გასაქირავებელი პუნქტების შექმნა დასვენების ქალაქგარეთა ზონებში.

7. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, საქართველოს

სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ საბჭოსთან და საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტთან ერთად შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ალკოჰოლის საწინააღმდეგო პროპაგანდის გაწევა მოსწავლეთა და მუშა ახალგაზრდობას შორის.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ ზომები, რათა უფრო ფართოდ იქნას მოზიდული მუშა ახალგაზრდობა საღამოს სკოლებში, შეიმუშაონ და განახორციელონ ბავშვთა და მოზარდთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკური და ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს:

— უფრო აქტიურად გამოიყენონ ალკოჰოლის საწინააღმდეგო პროპაგანდის ყველა მასობრივ-აღმზრდელობითი საშუალებანი;

— გაითვალისწინონ სამუშაოთა გეგმებში ისეთი მაღალიდეური დოკუმენტური, ქრონიკალური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების, სტატიების, ნარკვევების შექმნა, რომლებიც ამათრახებენ ლოთობას, ალკოჰოლიზმს და უჩვენებენ იმ ზიანს, რასაც ისინი საზოგადოებას აყენებენ;

— უზრუნველყონ ისეთი სამეცნიერო-პოპულარული და დოკუმენტური კინოფილმების უფასოდ ჩვენება კინოთეატრებში, უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში და ღია მოედნებზე, რომლებიც უჩვენებენ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის მავნეობას.

10. დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს:

— შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ქრონიკული ალკოჰოლიზმით დაავადებულთა უკეთ გამოვლინება, აღრიცხვა და მკურნალობა. უზრუნველყონ მეცნიერული

გამოკვლევების გაფართოება ასეთი ავადმყოფობის მკურნალობის ეფექტიანი საშუალებებისა და მეთოდების გამოსაძებნად;

— გააფართოონ ნარკოლოგიური განყოფილებებისა და ნარკოლოგიური კაბინეტების ქსელი პოლიკლინიკებისა და ფსიქონევროლოგიურ დისპანსერებში, ამასთან ყურადღება მიაქციონ იმას, რომ საჭიროა გაუმჯობესდეს ამ დაწესებულებათა მუშაობა ალკოჰოლიზმის პროფილაქტიკის დარგში;

— უზრუნველყონ ალკოჰოლიკთა იძულებითი მკურნალობისა და შრომითი ხელახლა აღზრდის სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმები მედიცინის მუშაკთა კვალიფიციური კადრებით;

— გააფართოონ ალკოჰოლიკთა იძულებითი მკურნალობისა და შრომითი ხელახლა აღზრდის სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმების ქსელი ახალი პროფილაქტორიუმების გახსნისა და არსებული პროფილაქტორიუმების რეკონსტრუქციის ხარჯზე.

აღნიშნული პროფილაქტორიუმები შეიქმნას, როგორც წესი, თვითანაზღაურების საფუძველზე.

11. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა 1972—1975 წლების სახალხო-სამეურნეო გეგმის კორექტირების დროს გაითვალისწინოს დამატებითი ასიგნებების გამოყოფა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სამკურნალო-შრომითი პროფილაქტორიუმის მშენებლობის დასამთავრებლად [illegible].

12. საქართველოს სსრ პროკურატურამ, საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ღრმა ანალიზი გაუკეთონ ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლის გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის მდგომარეობას, სისტემატურად შეიტანონ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში რეკომენდაციები, რომ გაუმჯობესდეს ეს მუშაობა რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებში, რაიონებში, სამინისტროებსა და უწყებებში.

13 მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 16 მაისის № 361 დადგენილებით დააწესა, რომ:

— სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებსა და სხვა სამკურნალო-გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში სამკურნალოდ და დასასვენებლად მყოფი პირები, რომლებიც დაარღვევენ ექიმების რჩევა-დარიგებას ალკოჰოლიანი სასმელების ხმა-

რების აკრძალვის შესახებ, გამოწერილი იქნებიან ამ დაწესებულე-
ბებიდან გამოუყენებელი დღეებისათვის საგზურების ღირებულების აუნაზღაურებლად, ამასთან ეს აუცილებლად უნდა ეცნობოს ამ პირის მუშაობის ადგილზე;

სიმთვრალის ან ისეთი მოქმედების შედეგად დაავადების შემთხვევაში, რაც დაკავშირებულია სიმთვრალესთან, აგრეთვე ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების გამო დაავადებისას (ტრავმები, ალკოჰოლური ფსიქოზები, ალკოჰოლით გამოწვეული ციებ-ცხელება, ქრონიკული ალკოჰოლიზმი) ამბულატორიული და სტაციონარული მკურნალობის დროს საავადმყოფო ფურცლები არ გაიცემა და დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარება არ მიეცემათ;

აეკრძალოს საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს ზედმეტ საათებში მუშაობისა და გამოსასვლელ და უქმე დღეებში მუშაობისათვის ხელფასის ერთჯერადი გაცემა. ამ მუშაობისათვის ხელფასის გაცემა უნდა მოხდეს საერთოდ დადგენილი წესით.

14 საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა უზრუნველყონ ამ დადგენილების ფართოდ განხილვა ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში და ისეთ კონკრეტულ ქმედით ღონისძიებათა განხორციელება, რომელთა მიზანია ყველა კომუნისტის მაღალი აქტივობა ლოთობის, ალკოჰოლიზმის თავიდან აცილებისა და გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის ბრძოლაში.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე** | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი** |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების და სსრ კავშირის განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 7 ივლისის № 18—რ3 გადაწყვეტილების შესასრულებლად

ვბრძანებ

1. აფხაზეთის და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღონ 16—29 წლის ასაკის იმ მომუშავე ახალგაზრდობის საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში ჩასაბმელად, რომელთაც არა აქვთ დამთავრებული 8 კლასი ან საშუალო სკოლა. ზუსტად შეასრულონ მომუშავე ახალგაზრდობის—სწავლებაში ჩაბმის 3 წლიანი პერსპექტიული გეგმები:

ბ) ფართო პროპაგანდა გაეწიოს საკავშირო დათვალიერებას „ყოველ ახალგაზრდა მშრომელს—საშუალო განათლება“;

გ) ჩაატარონ ზუსტი აღრიცხვა 16—29 წლის იმ ახალგაზრდებისა, რომლებსაც არა აქვთ 8 წლიანი ან საშუალო განათლება და არ არიან დასაქმებული სახალხო მეურნეობის რომელიმე დარგში. აღრიცხვის შედეგები წარმოუდგინონ განათლების სამინისტროს 1972 წლის 25 ოქტომბრისათვის;

დ) განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს მოსწავლეთა ყოფაქცევის ახალი წესების პროპაგანდას;

ე) გააუმჯობესონ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობა. მეტი ყურადღება მიაქციონ სპორტულ ღონისძიებებში ახალგაზრდობის მასობრივ ჩაბმას;

ვ) შეიმუშაონ და განახორციელონ ბავშვთა და მოზარდთა ესთეტიკური აღზრდის გაუმჯობესების ღონისძიებანი;

ზ) გააძლიერონ პედაგოგიური კოლექტივების მუშაობა ოჯახში აღზრდისა და ოჯახური პირობების შესწავლაზე;

თ) მკაცრი პასუხი მოსთხოვონ იმ დირექტორებს, რომლებიც დაუშვებენ სასკოლო საღამოებსა და ტურისტულ ლაშქრობებში ალკოჰოლიანი სასმელების გამოყენებას;

ი) ფართოდ დაინერგოს პრაქტიკაში საღამოს (ცვლის) სკოლების კლასგარეშე მუშაობის დროს ალკოჰოლის საწინააღმდეგო საუბრების ჩატარება;

კ) განაზოგადონ მოწინავე საღამოს სკოლების გამოცდილება ექსკურსიების, ლაშქრობების, თეატრების კოლექტიური დასწრების საქმეში;

ლ) გადაჭრით გააუმჯობესონ ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდა. მიიღონ ზომები მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ და არც ერთი დარღვევის შემთხვევა არ დატოვონ რეაგირების გარეშე.

2. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა (ამხ. თ. ზახაშვილი) მოაწყოს ლექციები საბჭოთა მასწავლებლის მორალური სახის, წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლის, კლასის ხელმძღვანელის როლის, მშობლებთან ალკოჰოლის საწინააღმდეგო ღონისძიებებისა და სხვ. შესახებ.

3. სახელმძღვანელოების განყოფილებამ (ამხ. ზ. როკავა) სახელმძღვანელოების შედგენისას, სადაც კი ეს მოსახერხებელია, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ადამიანის ორგანიზმზე ალკოჰოლის დამღუპველი ზეგავლენის შემცველი მასალების შერჩევას.

4. ჟურნალმა „სკოლა და ცხოვრებამ“ (ამხ. გ. საჯაია) და გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ (ამხ. ნ. შველიძე) მასწავლებელთა დასახმარებლად სისტემატურად გამოაქვეყნონ მასალები ალკოჰოლის საწინააღმდეგო თემებზე.

5. სკოლების ხელმძღვანელებმა გაატარონ ღონისძიებანი მასწავლებლებისა და სკოლის სხვა მუშაკთა მიერ ალკოჰოლის გადაჭარბებით ხმარების წინააღმდეგ.

6. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დააწესონ საშუალო სკოლების (ამხ. ჩხიკვაძე) და საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების (ამხ. ვ. ჩინჩალაძე) სამმართველოებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 6 ივლისის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 31 ივლისის ბრძანება № 422

### თიანეთის საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

თიანეთის საშუალო სკოლა-ინტერნატის (დირექტორი ამხ. დ. გონჯილაშვილი) მუშაობის გამოკვლევამ ცხადყო, რომ სკოლა-ინტერნატს გარკვეული წარმატებები აქვს მოპოვებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად.

დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სკოლა-ინტერნატში ქართული ენისა და ლიტერატურის (მასწავლებლები მ. ქსნელაშვილი, გ. სისაური, რ. კვიტაშვილი), რუსული ენის (მასწავლებლები მ. ქსნელაშვილი, თ. ოდიშელიძე), ისტორიის (მასწავლებლები პ. ციხელაშვილი, ნ. ცალუღელაშვილი). სწავლება

უნარიანად წარმართავენ სააღმზრდელო მუშაობას აღმზრდელები: ნ. მაჩუტაშვილი და პ. ბადურაშვილი.

სათანადო სიმაღლეზე დგას მეთოდური მუშაობა. მოწყობილია მეთოდური კუთხე, ახალი მეთოდური ლიტერატურის გამოფენა.

სკოლა-ინტერნატში სათანადო კონტროლია დაწესებული მასწავლებელთა და აღმზრდელთა საქმიანობაზე.

ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შრომით აღზრდას, აღსაზრდელთა მონაწილეობას საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში.

ყველა ობიექტზე დაცულია სისუფთავე და წესრიგი. აღსაზრდელები გარეგნულად კარგად გამოიყურებიან, აცვიათ მორგებული და სუფთა ტანსაცმელი. აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურება და პირადი ჰიგიენა დამაკმაყოფილებელია.

სკოლა-ინტერნატის ეზო-გარემო მოწესრიგებულია ესთეტიკურ მოთხოვნათა შესაბამისად; სასკოლო კორპუსი ლამაზად არის გაფორმებული ყვავილებითა და სტენდებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია ქორეოგრაფიული წრისა და მომღერალთა გუნდის ნაყოფიერი მუშაობა და სხვ.

მიუხედავად აღნიშნულისა, თიანეთის სკოლა-ინტერნატის მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი ნაკლოვანებანი.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება სკოლა-ინტერნატის IV—VIII კლასებში რუსული ენა. მოსწავლეთა ძირითადი ნაწილი სუსტად მეტყველებს რუსულ ენაზე, მათ არ გააჩნიათ საჭირო ლექსიკური მარაგი, წერენ და კითხულობენ შეცდომებით. მასწავლებელი ვ. ჯიმშიტაშვილი არადამაკმაყოფილებლად ატარებს სალექსიკონო მუშაობას, გაკვეთილის ახსნისას ზერელედ აწარმოებს ახალი სიტყვების ახსნას, ახალ მასალას არ უკეთებს შესაფერ ლექსიკურ ანალიზს, ყურადღებას არ აქცევს მოსწავლეების მიერ წინა გაკვეთილზე ახალი სიტყვების შესწავლის კონტროლს. დაბალია მოსწავლეთა წერის კულტურა. იშვიათად სწორდება საკლასო საშინაო წერების რვეულები. საკონტროლო წერების შეფასებისას ადგილი აქვს შეფასების ნორმების დარღვევას და სხვ.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება მათემატიკა. მასწავლებლები ს. ობგაიძე, მ. წიკლაური, ს. ხუბაშვილი ნაკლებად მუშაობენ თავიანთი აკადემიური და მეთოდური დონის ამაღლებისათვის, ბრ ეძებენ სიახლეებს საკითხებში, მოსწავლეებს ვერ აძლევენ სათანადო ცოდნას.

მეცნიერულად დაბალ დონეზე და მეთოდურად გაუმართავი გაკვეთილი ჩაატარა მასწ. ს. ობგაიძემ მე-9 კლასში. მოსწავლეები ვერ ხსნიან უმარტივეს განტოლებას. თითქმის ყველა ფორმულას შეცდომით წერენ, რასაც ვერ ამჩნევს მასწავლებელი. ახალი მასალის ახსნისას „არითმეტიკული პროგრესიის“ მასწავლებელი უშვებდა უამრავ შეცდომას: ერთმანეთში ურევდა არითმეტიკული და გეომეტრიული პროგრესიების ცნებებს და სხვ.

სუსტად ჩაატარა მასწავლებელმა წიკლაურმა ალგებრისა და ელემენტარული ფუნქციების გაკვეთილი მე-10 კლასში. მან ახალი მასალა „დაყვანის ფორმულები“ ისე ახსნა, რომ მოსწავლეებმა ვერაფერი გაიგეს. მოსწავლეებმა სუსტად იციან ტრიგონომეტრიული ფუნქციები, ვერ ხსნიან ალგებრულ უტოლობებს.

ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებელი ცოდნა გამოამჟღავნეს ალგებრაში VII კლასის მოსწავლეებმა (მას. ს. ხუბაშვილი). მათ უჭირთ ორუცნობიანი პირველი ხარისხის განტოლებათა სისტემის ამოხსნა, არ იციან ალგებრული გარდაქმნები და სხვ.

გარკვეული ნაკლოვანებები შეინიშნება სკოლა-ინტერნატის მუშაობაში დღის მეორე ნახევარში. აღმზრდელების სამუშაო გეგმებში არაა გათვალისწინებული აღსაზრდელთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი, ისინი შესაბამისობაში არ არიან ბიბლიოთეკის, ოქტომბრელთა ჯგუფის, პიონერული რაზმის, კლასის კომკავშირული ორგანიზაციის გეგმებთან და საქმეებთან. ყოველთვის არ ჩანს რა უნდა გაკეთდეს, ვის მიერ უნდა შესრულდეს და სხვ. შეინიშნება ნაკლოვანებები ჟურნალების წარმოებაშიც.

მოძველებულია და შეცვლას მოითხოვს სკოლა-ინტერნატის რბილი და მაგარი ინვენტარის ერთი ნაწილი—საწოლები, კარადები, მერხები, საკნები, ლეიბები და სხვ.

ცუდად მარაგდება სკოლა-ინტერნატი კვების პროდუქტებით. სისტემატურად არა აქვთ ხორცი, ბოსტნეული, მწვანილი და სხვა. 1971 წელს ერთ ბავშვზე დღეში ნაცვლად 94 კაპიკისა დახარჯულია 93 კაპიკი, ხოლო 1972 წლის I კვარტალში 92 კაპ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლა-ინტერნატის დირექციამ (ამხ. დ. გონჯილაშვილი):

ა) გადაჭრით გააუმჯობესოს სასწავლო დისციპლინების სწავლების ხარისხი და აამაღლოს აღსაზრდელთა ცოდნის დონე იმგვარად, რომ არცერთი აღსაზრდელი არ იყოს ჩამორჩენილი სწავლებაში;

ბ) უზრუნველყოს დახმარება და კონტროლი მასწავლებელთა და აღმზრდელთა საქმიანობაზე, გაკვეთილებსა და სააღმზრდელო ჯგუფის მეცადინეობაზე სისტემატური დასწრება-გაანალიზებისას მისცეს მათ საჭირო მითითებანი და რჩევა-დარიგება;

გ) პედაგოგიურ კოლექტივთან ერთად უზრუნველყოს საცხოვრებელი და სასწავლო კორპუსების, ეზო-კარმიდამოს შემდგომი კეთილმოწყობა და გამწვანება;

დ) მიიღოს სათანადო ზომები სკოლა-ინტერნატისათვის რბილი და მაგარი ინვენტარის შეძენად;

ე) იზრუნოს აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის, არ დაუშვას კვების ნორმების დარღვევა, მიაღწიოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას, რომ ინტერნატი სისტემატურად ღებულობდეს ხორცს, ბოსტნეულს, მწვანილს და სხვ.

2. თიანეთის სკოლა-ინტერნატის მასწავლებლებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები თავიანთი პედაგოგიურ-მეთოდური და მეცნიერული დონის ასამაღლებლად, მიაღწიონ საკუთარი კვალიფიკაციის სრულყოფას და ამგზით სასწავლო საგნების სწავლების შემდგომ გაუმჯობესებას.

3. აღმზრდელებმა მეტი ყურადღება მიაქციონ დღის მეორე ნახევარში საშინაო დავალებებზე მუშაობას, სამუშაო გეგმების შედგენისას გაითვალისწინონ აღსაზრდელთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი.

4. თიანეთის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ე. თურქიაშვილი):

ა) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლა-ინტერნატის მუშაობაზე;

ბ) ყველა ზომა მიიღოს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლა-ინტერნატის სანიმუშოდ მომზადებისათვის;

გ) სკოლა-ინტერნატის დირექციასთან ერთად მიიღოს ზომები ხმარებიდან გამოსული რბილი და მაგარი ინვენტარის შესაცვლელად.

დ) მომავალი სასწავლო წლის I მეოთხედში სპეციალურად შეისწავლოს მათემატიკის მასწავლებლების ს. ოქაიძის, მ. წიკლაურის, ს. ხუბაშვილის, და რუსული ენის მასწავლებლის ვ. ჯიმშიტაშვილის მუშაობა და იმ შემთხვევაში, თუ ისინი კვლავინდებურად არადამაკმაყოფილებლად იმუშავებენ, მიიღოს მათ მიმართ ზომები:

ე) 1972 წლის 30 დეკემბრამდე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წარმოუდგინოს ანგარიში ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების სალიკვიდაციოდ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

5. სკოლა ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

## 1972—73 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ

1972 წლის 11 მაისი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი აღნიშნავენ, რომ ახალი სასწავლო წლის საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებაში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში ადგილი ჰქონდა ნაკლოვანებებს: რიგ რაიონსა და სკოლას შორის სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებდა, სათანადო ყურადღება არ ექცეოდა აღებულ ვალდებულებათა შესრულების შემოწმების საქმეს და სხვ.

სახალხო განათლების დარგში სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 1972—1973 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულე-

ზების საუკეთესოდ მომზადებისათვის საქართველოს სსრ განათლე-
ბის სამინისტროს კოლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა
და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რეს-
პუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მი-
ნისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და
რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს, განათლების,
უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა
პროფკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტების
თავმჯდომარეებს:

ა) 1972—1973 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-
ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ
მოსამზადებლად ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება
რაიონებს (ქალაქებს) და სკოლებს შორის;

ბ) სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობისათვის ად-
გილებზე შექმნან კომისიები და სათანადო კონტროლი გაუწიონ
აღებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობას, შემო-
წმების შედეგები პერიოდულად განიხილონ კოლეგიის, სახალხო
განათლების საბჭოსა და პროფკავშირის რაიონული (საქალაქო)
კომიტეტის სხდომებზე;

გ) საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორ-
ციელების უზრუნველსაყოფად მკაცრი კონტროლი დააწესონ მოს-
წავლეთა კონტინგენტის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებაზე.
სრული წესრიგი დაამყარონ სასკოლო ასაკის ბავშვთა და მოზარდ-
თა აღრიცხვის საქმეში, რისთვისაც კარდაკარ შემოვლისა და სა-
კომლო და საბინაო დავთრების ჩანაწერების მიხედვით დააზუსტონ
სკოლაში ჩაბმულ და სკოლის გარეთ დარჩენილ სკოლის ასაკის
ბავშვთა სიები. არ დაუშვან სწავლებიდან ბავშვების ჩამოშორების
ფაქტები და მიაღწიონ პირველ კლასში ჩარიცხული კონტინგენტის
VIII კლასამდე მთლიანად შენარჩუნებას.

ქმედითი ღონისძიებანი გაატარონ სასკოლო ქსელის იმ ვა-
რაუდით გაფართოებისათვის, რომ შეიქმნას საჭირო პირობები
საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის დასამთავრებლად.

გაატარონ საჭირო ღონისძიებანი საღამოს და დაუსწრებელი
სკოლების ქსელისა და კონტინგენტის 1972—1973 სასწავლო წლის
გეგმის შესასრულებლად;

დ) სისტემატური კონტროლი გაუწიონ სასკოლო, საბავშვო ბაღებისა და მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, მიიღონ ზომები თითოეული ობიექტის მშენებლობის დაწესებულ ვადებში დასამთავრებლად. ფართოდ გაშალონ მუშაობა რათა განხორციელდეს საკლასო ოთახებისა და სპორტული დარბაზების მიშენება.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით საინიციატივო სასკოლო მშენებლობასა და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ფართოდ ჩააბან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და წარმოება-დაწესებულებები;

ე) მაღალხარისხოვნად ჩაატარონ სკოლების, სკოლა-ინტერნატების, ბაგა-ბაღებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების კაპიტალური და მიმდინარე რემონტი, სასკოლო ინვენტარის შეკეთება და ეზოების კეთილმოწყობა, სასკოლო ბიბლიოთეკების საჭირო ლიტერატურით და კაბინეტ-ლაბორატორიების ხელსაწყო-იარაღებით შევსება-აღჭურვა.

სკოლებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის საქმეს;

ვ) გააუმჯობესონ სკოლებში სახელმძღვანელოების, რვეულებისა და სხვა სასწავლო ნივთების შეტანა, მოაწყონ სკოლებში ახალი და ნახმარი სახელმძღვანელოების გაყიდვა;

ზ) იზრუნონ სასკოლო ინტერნატების, გახანგრძლივებული დღის სკოლებისა და ჯგუფების ქსელის გაფართოებისათვის; მიიღონ ზომები სასკოლო ინტერნატებში მცხოვრები ბავშვების სწავლის, კვებისა და დასვენებისათვის ნორმალური პირობების შესაქმნელად;

თ) უზრუნველყონ მოსწავლეთა კვების ორგანიზაციის გაუმჯობესება, სასადილოების და ბუფეტების ქსელის გაფართოება და მათი მუშაობისათვის ნორმალური პირობების შექმნა;

ი) მიიღონ ზომები ზამთრის სეზონისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ცენტრალური გათბობის სისტემის სრულ წესრიგში მოსაყვანად და სათბობი მასალით მოსამარაგებლად;

ქ) განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მასწავლებელთა და განათლების დარგის სხვა მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას,

შეუქმნან მასწავლებლებს შრომისა და ყოფაცხოვრების ნორმალური პირობები, უზრუნველყონ ყველა იმ შეღავათის აუცილებლად და დროული განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია მთავრობის მიერ სოფლის სკოლების მასწავლებლებისათვის;

ლ) სსრ კავშირის განათლების სამინისტროს და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის 20 მაისის № 29—8/05 ინსტრუქციული წერილი გააცნონ განათლების სისტემის დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, რათა იხელმძღვანელონ ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში (თან ერთვის);

მ) ახალი სასწავლო წლის საუკეთესო მომზადებისათვის აღებული ვალდებულებები განათლების სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს წარუდგინონ ა/წლის 20 ივნისისათვის, ხოლო სოციალისტური შეჯიბრების შედეგებზე დაჯამებული მასალები, მშრომელთა დეპუტატების რაიონულ (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებასთან ერთად, მიმდინარე წლის 15 სექტემბრისათვის.

2. ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობისადმი ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის შეიქმნას კომისია: დ. იოსელიანის (თავმჯდომარე), ძ. ქოჩაკიძის (თავმჯდომარის მოადგილე), გრ. შენგელიას (მდივანი), გ. აბდუშელიშვილის, ს. არველაძის, რ. კანდელაკის, ალ. კვაჭაძის, ა. ყორყოლაძის, ა. ჩხიკვაძის, ვ. ჩინჩალაძის, ნ. შველიძის შემადგენლობით.

3. დაევალოს კომისიას (ამხ. დ. იოსელიანი):

ა) პერიოდულად შეამოწმოს ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მიმდინარეობის მდგომარეობა და შედეგი მოახსენოს კოლეგიას და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს;

ბ) სოციალისტური შეჯიბრების შედეგები დააჯამოს და განსახილველად წარმოუდგინოს კოლეგიასა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმს 15 ოქტომბრამდე.

გ) მიზანშეწონილად ჩაითვალოს სოციალისტური შეჯიბრების შედეგების დაჯამების დროს რაიონებისადმი დიფერენცირებული მიდგომა მაღალმთიანი პირობების გათვალისწინებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციას (ნ. შველიძე) სისტემატურად გააშუქოს ახალი სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სხვა საბავშვო დაწესებულებების მზადების მიმდინარეობის მდგომარეობა.

საქართველოს სსრ განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. იოსელიანი

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 8 აგვისტოს ბრძანება № 429

**1972 წელს მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის თაობაზე ზემდგომი ორგანოების დადგენილებისა და განათლების სამინისტროს 1972 წლის 14 ივნისის № 361 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების პიონერულ ბანაკებში**

გავეცანი რა სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების პიონერულ ბანაკებში საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ სკოლა-ინტერნატები, საბავშვო სახლები და სპეციალური სკოლა-ინტერნატები დროულად შეუდგნენ საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობისათვის მზადებას: წინასწარ შეირჩა საბანაკო ადგილები, წესრიგში იქნა მოყვანილი შენობა-ნაგებობები, ეზო-კარმიდამო, სპორტული მოედნები და სხვ. დაზუსტდა აგარაკზე გასაყვანი და სამოედნო მუშაობაზე გადასაყვან აღსაზრდელთა სიები. ბავშვთა გონივრული დასვენებისა და ფიზიკური წრთობის უზრუნველსაყოფად შეირჩა სათანადო კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აღმზრდელ-მასწავლებელთა და სამედიცინო პერსონალის შემადგენლობა. სათანადო ღონისძიება გატარდა აგარაკზე გასაყვან და სამოედნო მუშაობაზე გადასაყვან აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით მარაგის შესაქმნელად.

ზაფხულის პერიოდში ისვენებს რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლა-ინტერნატების 4846 აღსაზრდელი, აქედან აგარაკზე გაყვანილია 670 აღსაზრდელი, ქობულეთისა და [illegible] სატყეო სკოლა-სანატორიუმებში სამ ნაკადად გაიგზავნა რესპუბლიკის სკოლების 1650

ფიზიკურად სუსტი მოსწავლე, ხოლო ადგილობრივ გამაჯანსაღებელ ღონისძიებებზე გადაყვანილი იქნა საბავშვო სახლების 256 აღსაზრდელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოწმებული სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების და სპეციალური სკოლების ბანაკების დიდი ნაწილი სათანადოდ მოემზადა ბავშვთა გონივრული გართობისა და დასვენების მოსაწყობად, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წასამართავად და ბავშვთა ნორმალური კვების უზრუნველსაყოფად.

ორგანიზებულად მიმდინარეობს საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობა გურჯაანის (უფროსი ამხ. ო. ოქროშიძე), კოჯრის (უფროსი ამხ. გ. სულავა) პიონერულ ბანაკებში, კოჯრის № 1 (დირექტორი ამხ. მ. მგალობლიშვილი) და ეწრის (დირექტორი ამხ. ნ. შავლაძე) საბავშვო სახლებში.

დასახელებულ პიონერულ ბანაკებში კარგადაა ორგანიზებული აღმზრდელობითი და კულტურულ-მასობრივი მუშაობა. ბავშვების გაჯანსაღებისათვის სისტემატურად იყენებენ მზის, წყლისა და ჰაერის აბაზანებს, სისტემატურად ეწყობა ექსკურსია-ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები, მოძრავი თამაშობანი, მხატვრული თვითმოქმედების კონცერტები, ლიტერატურული დილა-საღამოები და სხვ.

სერიოზული ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურებას. პერიოდულად ტარდება აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება, ფიზიკურად სუსტი აღსაზრდელები გადაყვანილი არიან გაძლიერებულ კვებაზე. შემოწმებული ბანაკების უმრავლესობაში მოწყობილია სამედიცინო ოთახები, იზოლატორები, ტანსაცმლის ... ჰიგიენის ოთახები და სხვ. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აღსაზრდელთა პირად ჰიგიენას, წესრიგშია მოყვანილი პირსაბანები, აღსაზრდელები უზრუნველყოფილი არიან პირადი ჰიგიენის საგნებით (საპონი, ჯაგრისი, კბილის ფხვნილი). შენობების, ეზოს, სამზარეულოს, საკუჭნაოსა და საწყობების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

ბანაკების დიდ ნაწილში სამზარეულოები მექანიზებულია, კარგადაა დაყენებული ქვაბების რეცხვის ორგანიზაცია, სუფთადაა სასურსათო საწყობების დამუშავება, დაცვა-შენახვა. წესრიგშია მოყვანილი სამაცივრო მოწყობილობა, საპირფარეშოებში დაცულია სისუფთავე.

შემოწმებული ბანაკების დიდ ნაწილში აღსაზრდელთა კვება დამაკმაყოფილებელია. ბანაკებში თითქმის შეუფერხებლად ღებულობენ ახალ ხორცს, ბოსტნეულს, კარტოფილს, რძეს, ხილს და სხვ. სადილების დამზადებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ აღსაზრდელები.

მიუხედავად აღნიშნულისა, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობას ახასიათებს რიგი ნაკლოვანებები.

თიანეთში ბანაკად მყოფ გლდანის № 2 სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატმა (ბანაკის უფროსი ამხ. დ. კიწურაშვილი) წელსაც ვერ შეასრულა საზაფხულოდ გაიყვანოს ბავშვთა კონტინგენტი, ნაცვლად 200 აღსაზრდელისა გაყვანილია 140 მოსწავლე კონტროლის უქონლობის გამო უწესრიგობაა საძინებელ ოთახებში, სათანადოდ არ ხდება საწოლების გასწორება, აღსაზრდელთა ტანსაცმელ-ფეხსაცმელი მიმოფანტულია საწოლებზე და იატაკზე.

დაბალია სასადილოს სანიტარიული დონე. მზარეული და მისი დამხმარე პერსონალი არ ატარებენ თავსახვევებს, მუშაობენ თეთრი ხალათების გარეშე. ცუდათ არის დაყენებული აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით მომარაგების საქმე. ბანაკს სრულიად არ მიუღია არაჟანი, ხაჭო, ახალი ხილი, ზეთი, ნაკლებ რაოდენობით ღებულობენ თევზს, კარტოფილს, ბოსტნეულსა და სხვ.

ანალოგიური მდგომარეობაა სოხუმში ბანაკად მყოფ გლდანის № 1 სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატშიც (ბანაკის უფროსი ამხ. დ. ფავლენიშვილი). ინტერნატმა ვერ შეასრულა საზაფხულოდ გასაყვან ბავშვთა კონტინგენტი, ნაცვლად 200 აღსაზრდელისა გაყვანილია 131. საძინებელ ოთახებში არაა დაცული სისუფთავე, საწოლებისა და ლოგინების ქვეშ შენახულია ჭუჭყიანი საცვლეული, რეზინის კედები, წინდები. საძინებელი ოთახები სისტემატიურად არ სუფთავდება. პროდუქტების საწყობებსა და სასადილოში უსუფთაობაა, არიან ბუზები.

აღსაზრდელებს არ აქვთ გამომუშავებული თვითმომსახურების ჩვევები. აღმზრდელ-მასწავლებელთა და ექიმის კონტროლი ამ საქმისადმი კი სუსტია. შემოწმების დღეს ბანაკს საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის გეგმა და დღის რეჟიმი არ ჰქონდა შედგენილი.

პატარა ცემის სატყეო სკოლა-სანატორიუმში (დირექტორი ამხ. შ. ტაბატაძე) სათანადო სიმაღლეზე არ დგას პიონერული მუშაობა. პიონერული დილა არაორგანიზებულად იწყება და მთავრდება, ყველა სააღმზრდელო ჯგუფი და რაზმი ცალ-ცალკე მუშაობს, სუსტია მათ შორის კავშირი. აღმზრდელთა სამუშაო გეგმები არაკონკრეტულია, დღის რეჟიმი არაა ასაკის მიხედვით დიფერენცირებული, ძირითადად მიმართავენ აეროთერაპიასა და სამკურნალო ფიზკულტურას. ინტერნატს არ გააჩნია ბავშვთა გართობისათვის საჭირო საშუალებანი, მოუწყობელია ბავშვთა გასართობი ოთახი, არ აქვთ კინოდანადგარი, ბიბლიოთეკა ღარიბია საბავშვო ლიტერატურით, კეთილმოუწყობელია ჰიგიენის ოთახი და სხვ.

კვლავ კეთილმოუწყობელია ქობულეთის სატყეო სკოლა სანატორიუმის (დირექტორი ამხ. გ. კვაჭაძე) ეზო, რომლის სანიტარული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ეზოში მიმობნეულია ხილისა და ბოსტნეულის ნარჩენები, მასში თავისუფლად დადიან გარეშე პირები, არ ტარდება სანიტარული დღეები და სხვ. აღსაზრდელთა კვება არადამაკმაყოფილებელია, სამზარეულოში არ მუშაობს არცერთი მაცივარი.

გორდის სანატორიული სკოლა-ინტერნატის ბანაკის ექიმი ამხ. ზ. ჩხეიძე არ აკონტროლებს მენიუ-მოთხოვნებს, თვალყურს არ ადევნებს ბავშვთა დასვენების ორგანიზაციას, ცუდ ამინდში წყნარი საათის დროს ბავშვები გაუხდელი, ყელსახვევითა და ქამრით იძინებენ, ისინი მხოლოდ ფეხსაცმელებს იხდიან. თანამშრომლებს არ აქვთ სანიტარული წიგნაკები, მათი სამუშაოზე დაშვება ხდება სანიტარული შემოწმების გარეშე, ანტისანიტარიაა სანიტარიულ კვანძებში.

კოჯრისა და გურჯაანის პიონერთა ბანაკებში არ შესრულებულა აღსაზრდელთა გაგზავნის გეგმა: გურჯაანის ბანაკში მუსიკალურმა სკოლა-ინტერნატმა 40 აღსაზრდელის ნაცვლად მხოლოდ 4 აღსაზრდელი გაგზავნა, რუსთავის საბავშვო სახლმა 24-ით ნაკლები, ახმეტის სკოლა-ინტერნატს 25 აღსაზრდელიდან არც ერთი არ გაუგზავნია, არცერთი ბავშვი არ გაუგზავნია აგრეთვე თბილისის საბავშვო სახლს, ლაგოდეხის სკოლა-ინტერნატს. კოჯრის ბანაკს 15 ბავშვი დააკლო სამგორის საბავშვო სახლმა, 14 ახალდაბის სანატორიულ სკოლა-ინტერნატმა და ა. შ. ბეთანიის საბავშვო სახლიდან კოჯრის ბანაკში გაყვანილი 107 ბავშვი მთლიანად არაა უზრუნველყოფილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით.

ბანაკების ერთი ნაწილი სუსტად მარაგდება ახალი ხორცით, რძით, ბოსტნეულით. კარტოფილითა და ახალი ხილით. კოჯრის № 3 სახლი იმის გამო, რომ ვერ ღებულობს ხილს, მის ნაცვლად აღსაზრდელებს აძლევს კანფეტს. ხსენებულ საბავშვო სახლში აღსაზრდელთა ღრმა სამედიცინო შემოწმება 1971 წლის 29 სექტემბრის შემდეგ არ ჩატარებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობა კარდანახის საბავშვო სახლში. საბავშვო სახლის აღსაზრდელებთან აღმზრდელის მოვალეობას შეთავსებით ასრულებს სამეურნეო ნაწილის გამგე. საზაფხულო გამაჯანსაღებელი მუშაობის გეგმა შინაარსობრივად მეტად ღარიბია, ღარიბია აღმზრდელთა მუშაობის გეგმებიც, გეგმებში მხოლოდ რეჟიმული მომენტებია გათვალისწინებული. ჩატარებული მუშაობის აღრიცხვა ზოგადად წარმოებს და სხვ. საბავშვო სახლში ორი თვის მანძილზე არ ჩატარებულა კალორიაჟის გამოთვლა. არცერთ თანამშრომელს ადგილზე არ აღმოაჩნდა სანიტარიული წიგნაკი.

მოუმზადებელი დაიწყო საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობა კოხნარის ბანაკმა. ს მზარეულოში ანტისანიტარიაა ჭურჭლის რეცხვა და სურსათ-სანოვაგის დამუშავება პრიმიტიული წესით ხდება, არ არის სისუფთავე საპირფარეშოებში. აღსაზრდელთა გა-რეანობა არადამაკმაყოფილებელია, ბავშვები გაუკრეჭავი და ძველ ტანსაცმელში გამოწყობილი არიან. არადამაკმაყოფილებელია აღსაზრდელთა კვების პროდუქტებით მომარაგების საქმე ბანაკს მთელი თვის მანძილზე არ მიუღია კარტოფილი, ხახვი, ბოსტნეული, იშვიათ დ ღებულობენ ხორცს.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამაჯანსაღებელ მუშაობაზე გადაყვანილი სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების დირექტორებმა:

ა) აღმზრდელ-მასწავლებელთა და სამედიცინო პერსონალის მუშაობაზე ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაძლიერებით გააუმჯობესონ პიონერული ბანაკების მუშაობა, სისტემატურად შეამოწმონ ბანაკის მუშაობის სხვადასხვა უბნები. შემოწმების შედეგები განიხილონ პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე, გათვალისწინებულ ნაკლოვანებათა გასწორების მიზნით გაატარონ საჭირო ღონისძიებანი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყონ აღსაზრდელთა სუფთა ჰაერზე ყოფნა, დღის განმავლობაში გამამხნევებელი ვარჯიშების ჩატარება, სათანადო პირობების შექმნა წყლისა და მზის აბაზანების მისაღებად;

გ) გონივრულად წარმართონ აღსაზრდელთა დასვენება-გართობა. ტურისტულ-მასობრივი მუშაობის მკვეთრად გაუმჯობესების მიზნით სისტემატურად მოაწყონ ექსკურსიები, ტურისტული ლაშქრობები, სპორტული შეჯიბრებები, დილა-საღამოები და სხვ.

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ აღსაზრდელთა სამედიცინო მომსახურებას, მათ ღრმა სამედიცინო შემოწმებას, პირადი ჰიგიენის დაცვას, დაუყოვნებლივ მოაწყონ მედპუნქტები, იზოლატორები, ჰიგიენის ოთახები გოგონებისათვის და სხვ. ფიზიკურად სუსტი ბავშვები გადაიყვანონ გაძლიერებულ კვებაზე;

ე) სისტემატური კონტროლი დააწესონ შენობებში, ეზოებში, სამზარეულოში, სასადილოებში, საკუჭნაოებში, საწყობებსა და საპირფარეშოებში სანიმუშო სისუფთავის დაცვაზე, შემოიღონ სანიტარიული დღეების ჩატარება;

ვ) სერიოზული ყურადღება დაუთმონ ბანაკებში აღსაზრდელთა შრომით საქმიანობას, ფართოდ ჩააბან ისინი სადილების დამზადებაში, ეზო-კარმიდამოს გაწმენდა-გასუფთავებაში და სხვ.

ზ) სასტიკად აკრძალონ პროდუქტებით არადამაკმაყოფილებლად მომარაგებისა და კვების რეჟიმის დარღვევის ყველა შემთხვევა და გახადონ ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოების მსჯელობის საგნად;

თ) გაფრთხილებულ იქნან სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების დირექტორები — ბანაკების უფროსები, რომ თუ ისინი მომავალში კვლავ დაუშვებენ მსგავსი ხასიათის ნაკლოვანებებს, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

2. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ო. კანდელაკი) კონტროლი დააწესოს ამ ბრძანების შესრულებაზე.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 8 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 10 აგვისტოს ბრძანება № 4[illegible]7

### სიღნაღის, ორჯონიკიძის, ლანჩხუთის და კასპის რაიონებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობის შ ე ს ა ხ ე ბ

გავეცანი რა აღნიშნულ რაიონებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობის მასალებს, აღვნიშნავ, რომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა, კომკავშირულმა და განათლების ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს ახალი 1972—1973 სასწავლო წლისათვის სკოლების მოსამზადებლად.

ადგილებზე შედგენილ იქნა ახალი სასწავლო წლისათვის მზადების კონკრეტული გეგმები (ლანჩხუთის, სიღნაღის, ორჯონიკიძის რაიონები), რომლებიც დამტკიცდა რაისაბჭოს აღმასკომების მიერ, გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება რაიონებს შორის, პასუხისმგებელი მუშაკები მიმაგრებულ იქნენ ცალკეულ ობიექტებზე და ა. შ.

მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, ახალი სასწავლო წლისათვის მზადების საქმეში ადგილი აქვს ხარვეზებსაც. ჯერ კიდევ არ არიან უზრუნველყოფილი სათბობით იგოეთის, ალაიანის, ოკამის ხოვლეს (კასპის რაიონი) სკოლები. ნელი ტემპით მიმდინარეობს სკოლების მომარაგება სათბობით სიღნაღის და ლანჩხუთის რაიონებში, ასე, მაგალითად: 2730 კბ. მეტრი შეშის და 1182 ტონა ნახშირის ნაცვლად ლანჩხუთის რაიონის სკოლებში შემოზიდულია 100 კბ. მეტრი შეშა და 205 ტონა ნახშირი.

ჩამორჩება სარემონტო და მიშენების სამუშაოები კავთისხევის, ალაიანის, ნიკოზის (კასპის რაიონი) სკოლებში, კასპის № 1 საშუალო სკოლაში ცენტრალური გათბობის რეკონსტრუქციის და

აქვაბის მშენებლობის სამუშაოები, სარემონტო სამუშაოები ლამისყანის, იგოეთის საშუალო და სამთავისის (კასპის რაიონი) რვაწლიან სკოლებში. ჩამორჩენა იყო ამ მხრივ სიღნაღის რაიონშიც (ტიბაანის, ნუკრიანის № 2, ჯუგაანის, ზემო ბოდბის, მაშნაარის, ძველი ანაგის სკოლები) და ორჯონიკიძის რაიონის ზოგიერთ სკოლაში (უბისის რვაწლიანი სკოლა).

სიღნაღის რაიონის ზოგიერთი სკოლის მატერიალური ბაზა ჯერ კიდევ არაა მომზადებული დაწყებითი სამხედრო სწავლებისათვის.

ადგილი აქვს სარემონტო სამუშაოების უხარისხოდ შესრულების ფაქტებსაც (კასპის, ორჯონიკიძის რაიონები).

ყველგან არ არის შეზიდული საჭირო რაოდენობის სახელმძღვანელოები (სიღნაღის, ლანჩხუთის რაიონები).

არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება მასწავლებელთა კომუნალური მომსახურების საქმეს (კასპის რაიონის ალიანის და ოკამის სასოფლო საბჭოები).

ზოგან ზუსტად არ არის აღრიცხული I კლასში ჩასარიცხავი მოზარდები (სიღნაღის რაიონი).

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) მაქსიმალურად გამოიყენონ დარჩენილი დრო და უზრუნველყონ 1972—1973 სასწავლო წლისათვის სკოლებისა და საბავშვო დაწესებულებების სათანადო მომზადება;

ბ) ყოველმხრივ ხელი შეუწყონ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებისა და წარმოება-დაწესებულებების თაოსნობას ახალი სასკოლო შენობების მშენებლობასა და არსებულ სასკოლო შენობებზე საკლასო ოთახების მიშენების საქმეში;

გ) დადგენილ ვადებში მოამარაგონ სკოლები და საბავშვო დაწესებულებები ზამთრისათვის საჭირო სათბობით, სრულ წესრიგში მოიყვანონ გათბობის სისტემა;

დ) ყველა ზომა მიიღონ ახალი სახელმძღვანელოების და სწავლისათვის საჭირო ნივთების დროულად შემოსატანად და ნახმარი სახელმძღვანელოების შესაგროვებლად იმ ანგარიშით, რომ არცერთი მოსწავლე არ დარჩეს სახელმძღვანელოების გარეშე;

ე) მკაცრი კონტროლი დააწესონ სკოლებში სახელმძღვანელოების ორგანიზებულად გაყიდვაზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ) განახორციელონ ქმედითი ღონისძიებები საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის და საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლის განსახორციელებლად, ზუსტად აღრიცხონ 7 წლიან და სკოლის გარეთ დარჩენილი მოზარდები და მიიღონ გადამჭრელი ზომები სწავლებაში მათი ჩაბმისათვის;

ზ) ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად გადამჭრელი ზომები მიიღონ ექსპლოატაციაში გასაცემი ობიექტების დროულად და ხარისხიანად დასამთავრებლად;

თ) სისტემატური კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლებს 1973 წლის სასწავლო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული სასკოლო ქსელის გახსნის საქმეში; არ დაუშვან 8-წლიან და საშუალო სკოლების გახსნა სათანადო კონტინგენტის და მატერიალური ბაზის უქონლობის შემთხვევაში;

ი) დასახონ ღონისძიებები სადილოებისა და ბუფეტების ქსელის გაფართოებისათვის იმ ანგარიშით, რომ 1976 წლისათვის საშუალოდ 1000 მოსწავლეზე მოდიოდეს არა ნაკლებ 200 დასაჯდომი ადგილისა;

კ) მიიღონ ზომები აგვისტოს თათბირების მაღალ დონეზე და ორგანიზებულად ჩასატარებლად.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 8 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უ. ობოლაძე

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 11 აგვისტოს ბრძანება № 440

### ხულოს სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

ხულოს სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ამხ. მ. ჯორბენაძე) გარკვეული ღონისძიებებია ჩატარებული სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. სკოლა-ინტერნატმა დამაკმაყოფილებელი მაჩვენებლებით დაამთავრა 1971—1972 სასწავლო წელი.

ჯეროვანი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა წერითი მეტყველების კულტურის ამაღლებას. ქართულ, რუსულ და უცხო ენებში, მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში გეგმიანად ტარდება საკლასო, საშინაო და საკონტროლო წერითი სამუშაოები. დაწყებითი კლასების მოსწავლეთა ნამუშევრებში ძირითადად დაცულია ასოთა დაწერილობა, სიმრგვალე, სიმეტრიულობა, ასოთა და სიტყვათა შორის შუალედები და სხვ. მათემატიკაში ჩატარებული საკონტროლო სამუშაოები, თავისი შინაარსით შეესაბამება თითოეული კლასის მოთხოვნილებებს. ამოცანები და მაგალითები შერჩეულია იმგვარად, რომ მათი ამოხსნა საჭიროებს ახლად დაუშვევბული და გავლილი მასალის ცოდნას.

II კლასის მოსწავლეები (მასწ. ქ. კახაძე) დამოუკიდებლად ასრულებენ არითმეტიკულ მოქმედებებს, წყვეტენ მარტივ ამოცანებს.

III კლასის მოსწავლეები (მასწ. ნ. დეკანოიძე) გავლილი მასალის დამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ: მათემატიკაში, ქართულსა და რუსულ ენებში.

ინტერნატში სათანადო მუშაობა ტარდება ტექნიკურ საშუალებათა სწავლებაში გამოსაყენებლად. მასწავლებლები სისტემატუ-

რად იყენებენ სასწავლო ფილმებს, ხოლო ფიზიკაში (მასწ. ალ. ქათამიძე) მოსწავლეთა ცოდნის თვითშემოწმებისათვის დანერგილია გამომცდელი მანქანების გამოყენება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმზრდელ-მასწავლებელთა უმრავლესობას აქვს უმაღლესი, ხოლო დანარჩენებს საშუალო სპეციალური განათლება.

დამაკმაყოფილებელია სკოლა-ინტერნატის ხელმძღვანელობის მიერ მოსმენილი გაკვეთილების რაოდენობა და ანალიზი.

მიუხედავად აღნიშნულისა, ხულოს სკოლა-ინტერნატის მუშაობაში შეიმჩნევა რიგი ნაკლოვანებანი. ხარვეზებია მოსწავლეთა ცოდნაში, მატერიალური ბაზა ვერ უზრუნველყოფს ინტერნატის მოთხოვნებს, სრულყოფას საჭიროებს სააღმზრდელო მუშაობა.

IX კლასის მოსწავლეთა ერთ ნაწილს ქართულ ენასა და ლიტერატურაში (მასწ. გ. ბოლქვაძე) გამომუშავებული არ აქვს დამოუკიდებელი მსჯელობის უნარ-ჩვევები. საკითხის გასაშუქებლად შესწავლილი ტექსტიდან ვერ იმარჯვებენ ფაქტობრივ მასალას. გერმანულ ენაში (მასწ. ო. თავართქილაძე) მოსწავლეები დაუფლებული არ არიან კითხვის ტექნიკას, სწორად ვერ სვამენ მახვილებს და სხვ.

VI—X კლასებში (მასწ. თავართქილაძე, ალ. ქათამიძე) მოსწავლეები ვერ ხსნიან კითხვა-ამოცანებს ფიზიკაში, მოვლენათა ანალიზისათვის მოხერხებულად ვერ იყენებენ შესწავლილ კანონებსა და ფორმულებს,

VII კლასელებს (მასწ. წ. ხოზრევანიძე) უჭირთ ქიმიური ტოლობების შედგენა, სწორად ვერ წერენ ნივთიერებათა გარდაქმნის ტოლობებს, ურთიერთისაგან ვერ არჩევენ შეერთებისა და ჩანაცვლების რეაქციებს.

აღმზრდელთა სამუშაო გეგმები გადატვირთულია რეჟიმული მომენტებითა და აღსაზრდელთა მოვალეობის ჩამოთვლით. მოსწავლეებში გამომუშავებული არ არის წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისა და თვითკონტროლის ჩვევები.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთის გამოყენებაში (გამგე ლ. ხოზრევანიძე), სადაც არ არის მოწყობილი სასათბურო მეურნეობა, ბიოლოგიური და ტექნიკური კულტურების განყოფილებები, არ წარმოებს ცდა-დაკვირვებები მცენარეთა განვითარებაზე და სხვ.

ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტ-ლაბორატორიებში არსებული ხელსაწყო-იარაღები და დიდაქტიკური მასალები აღა-

საკმარისია, რის გამო ვერ ხერხდება ექსპერიმენტების დიდი ნაწილის ჩატარება.

ინტერნატი სათანადოდ ვერ მარაგდება სახელმძღვანელოებით. ქართული ენის გრამატიკაში ნაცვლად 91 სახელმძღვანელოსა მიღებული აქვთ 27 ეგზემპლარი, გეომეტრიაში 60 ცალის ნაცვლად მიღებული აქვთ 23 და ა. შ.

სკოლა-ინტერნატი მწვავედ განიცდის რბილი ინვენტარის ნაკლებობას. ხმარებაშია 15.437 მანეთი ღირებულების გაცვეთილი და თითქმის უვარგისი ლეიბები, საბნები, ბალიშის პირები, ზეწრები, შალითები და სხვ., რომელთაც 6—9 წლის წინ გაუვიდათ ხმარების ვადა.

შეუფერებელ ბინაშია მოთავსებული სასადილო.

ინტერნატში არ არის გატარებული ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი. საძინებელ კორპუსზე არ აქვთ გაკეთებული რკინის კიბე. წესრიგში არ არის მოყვანილი სახანძრო სტენდები.

შემოღობვასა და კეთილმოწყობას საჭიროებს სკოლა-ინტერნატის ეზო. აღსაზრდელთა სასურსათო საქონლით მომარაგებისა და ათვისების საქმეში შეინიშნება ნაკლოვანებანი. 1972 წლის პირველ კვარტალში ბავშვებს სრულიად არ მიუღიათ ლობიო და თევზი. არასაკმაო რაოდენობით მიიღეს ბოსტნეული, ზეთი, კვერცხი და ყველი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ხულოს სკოლა-ინტერნატის დირექტორმა (ამხ. მ. ჯორბენაძე):

ა) სასწავლო პროცესის სწორი ორგანიზაციით მიაღწიოს თითოეული ასწავლო დისციპლინის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლებას;

ბ) დახმარება და კონტროლი განახორციელოს მასწავლებელთა და აღმზრდელთა მუშაობაზე;

გ) ახალი მოთხოვნილებების შესაბამისად უზრუნველყოს სასწავლო კაბინეტების შევსება საჭირო რაოდენობის ხელსაწყო-იარაღებითა და თვალსაჩინოებით;

დ) სათანადო ყურადღება მიაქციოს სკოლა-ინტერნატების რბილი და მაგარი ინვენტარით შევსებისა და კვების პროდუქტებით დროულად მომარაგების საქმეს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე) გაატაროს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებანი;

ვ) წესრიგში მოიყვანოს საცდელი მიწის ნაკვეთი და შექმნას ყველა პირობა მისი სწავლებაში გამოსაყენებლად;

ზ) პედაგოგიურ საბჭოს უახლოეს სხდომაზე განიხილოს აღნიშნული ბრძანება, დასახოს და განახორციელოს ღონისძიებანი მუშაობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად;

თ) 1972 წლის 30 დეკემბრამდე განათლების სამინისტროს მოახსენოს ამ ბრძანების შესასრულებლად გატარებული ღონისძიებების შესახებ.

2. ხულოს რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ბოლქვაძე), მეტი დახმარება და კონტროლი გაუწიოს ხულოს საშუალო სკოლა-ინტერნატს.

3. აჭარის ასსრ განათლების სამინისტრომ (ამხ. ვ. წულუკიძე) მიიღოს ზომები ხულოს სკოლა-ინტერნატის საჭირო ოთახებით, რბილი და მაგარი ინვენტარით უზრუნველსაყოფად.

4. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. რ. კანდელაკი) თვალყური ადევნოს ამ ბრძანების შესრულებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 8 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 11 აგვისტოს ბრძანება № 441

### ქ. თბილისის ოქტომბრისა და პირველი მაისის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონობის, გაშვილებისა და მეურვეობა მზრუნველობის მდგომარეობის შესახებ

საკითხის ადგილზე შემოწმებით დადგინდა, რომ ქ. თბილისის ოქტომბრის და 1-ლი მაისის რაიონების განათლების განყოფილებებს (გამგეები: ამხ. მ. ქ. ჭანიშვილი, შ. რუაძე) უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა შორის მუშაობაში გააჩნიათ მთელი რიგი ნაკლოვანებები.

1972 წლის 20 ივნისის მდგომარეობით ოქტომბრის რაიონში არაზუსტი აღრიცხვით ითვლებოდა 44 უდედმამო, უზედამხედველოდ დარჩენილი ბავშვი და მოზარდი. აქედან პატრონატზე ირიცხება — 2, გაშვილებულია — 35, მეურვეობა დაწესებულია 7 ბავშვზე. 1-ლი მაისის რაიონში ამავე პერიოდისათვის გაშვილებულია — 55, მეურვეობა დაწესებულია მხოლოდ 1 ბავშვის მიმართ.

შემოწმების პერიოდში ოქტომბრის რაიონის 5 საშუალო სკოლიდან წარმოდგენილ მასალებში აღმოჩნდა 18 უდედმამო და უზედამხედველო ბავშვი და მოზარდი, რომლებიც რაიონის განათლების განყოფილებას არ ჰყავდა აღრიცხვაზე აყვანილი, ხოლო 1-ლი მაისის რაიონის 4 სკოლაში აღურიცხავი აღმოჩნდა 21 უდედმამო ბავშვი და მოზარდი. ამასთან არ ხდება აღრიცხვის მასალების შედარება სახლმმართველობაში არსებულ საკომლო წიგნის ჩანაწერებთან.

განათლების განყოფილებები არ ითვალისწინებენ კვარტალურ სამუშაო გეგმებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა შორის მუშა-

ობის საკითხებს, არ ამოწმებენ პატრონირებულ, გაშვილებულ და მეურვეობა-მზრუნველობაში მყოფ ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობებს. შემუშავებული არ აქვთ ბავშვთა აღრიცხვისათვის დადგენილი სააღრიცხვო ჟურნალი, რომელიც მუდმივად უნდა ინახებოდეს განათლების განყოფილებაში.

მოუწესრიგებელია პატრონირებულ, გაშვილებულ და მეურვეობა-მზრუნველობაზე მყოფ ბავშვთა და მოზარდთა პირადი საქმეები. ზოგჯერ პირად საქმეში არ არის მოთავსებული აუცილებლად საჭირო საბუთები: დაბადების მოწმობა, საყოფაცხოვრებო პირობების შემოწმების შედეგად შედგენილი აქტი და სხვ.

უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა არაზუსტი აღრიცხვის შედეგად აუთვისებელი რჩება ბიუჯეტით გათვალისწინებული დახმარების თანხები. 1971—1972 წლებში ოქტომბრის რაიონში აუთვისებელი დარჩა—200, ხოლო 1-ლი მაისის რაიონში 400 მანეთი.

ვ ბ ო ძ ა ნ ე ბ

1. ქ. თბილისის ოქტომბრისა და 1-ლი მაისის რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა (ამხ. ამხ. ქ. ჭანიშვილი, უშ. რუაძე):

ა) ზუსტად აღრიცხონ რაიონების სკოლებში, სხვა სასწავლო და სკოლამდელ დაწესებულებებში უდედმამოდ დარჩენილი ბავშვები და მოზარდები, აღრიცხვის მასალები შეუდარონ რაიონის საალძმართველობებში არსებულ საკომლო წიგნების ჩანაწერებს, ამ საქმიანობაში გამოიყენონ კომკავშირული და პროფკავშირული აქტივი, პედაგოგები:

ბ) უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა შორის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით შეადგინონ ცალკე სამუშაო გეგმა ან მათთან მუშაობის საკითხები გაითვალისწინონ განყოფილების კვარტალურ სამუშაო გეგმებში, პერიოდულად შეისწავლონ რაიონში პატრონირებულ, გაშვილებულ და მეურვეობა-მზრუნველობაში მყოფი ბავშვების საყოფაცხოვრებო პირობები. შემოწმების შედეგები განსახილველად შეიტანონ რაიაღმასკომებისა და განათლების საბჭოების სხდომაზე;

გ) მოქმედი ინსტრუქციის შესაბამისად შემოიღონ უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვისათვის ჟურნალი და წლების მიხედვით ზუსტად შეიტანონ ჟურნალში პატრონირებული, გაშვილებული და მეურვეობა-მზრუნველობაში მყოფი ბავ-

შვები და მოზარდები. ასეთის შესრულების შემთხვევაში მოიხსნან ისინი აღრიცხვიდან და უზრუნველყონ მათი სამუშაოზე მოწყობა;

დ) მოაწესრიგონ და შეავსონ პატრონობამოკლებულ, გაჭირვებული და მეურვეობა მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვების პირადი საქმეები ყველა აუცილებლად საჭირო საბუთებით;

ე) არ დაუშვან უდედმამოდ დარჩენილი ბავშვების დახმარებისათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების აუთვისებლობა;

ვ) 1972 წლის 30 დეკემბრამდე განათლების სამინისტროში წარმოადგინონ მოხსენებითი ბარათები ამ ბრძანებაში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად ჩატარებული მუშაობის შესახებ.

2) სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. [illegible]. კადელაკი) 1973 წლის I კვარტალში შეამოწმოს ამ ბრძანების შესრულების მიმდინარეობა და შედეგი განიხილოს სამმართველოში.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1972 წლის 8 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ოლოლაძე
8 აგვისტო 1972 წელი

# სასწავლო გეგმა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის საშუალო სკოლა-ინტერნატისა 1972—1973 სასწავლო წლისათვის (ქართული სექტორი)

| №№ | საგნის დასახელება | საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით | | |
|---|---|---|---|---|
| | | VIII | IX | X |
| 1 | ქართული ენა | 2 | — | — |
| 2 | ქართული ლიტერატურა | [illegible] | 4 | 3 |
| 3 | რუსული ენა და ლიტერატურა | 4 | 3 | 4 |
| 4 | მათემატიკა (ელემენტარული კურსი) | 8 | 8 | 8 |
| 5 | უმაღლესი მათემატიკის ელემენტები | 1 | 4 | 4 |
| 6 | ისტორია | 3 | 4 | 3 |
| 7 | საზოგადოებათმცოდნეობა | — | — | 2 |
| 8 | გეოგრაფია | 2 | 2 | — |
| 9 | ბიოლოგია | 2 | 1 | 2 |
| 10 | ფიზიკა | [illegible] | 6 | 6 |
| 11 | ზოგადი ფიზიკის ელემენტები | — | 2 | 2 |
| 12 | ასტრონომია | — | — | 1 |
| 13 | ხაზვა | 2 | — | — |
| 14 | ქიმია | 2 | 3 | 3 |
| 15 | უცხოური ენა | 2 | 2 | 2 |
| 16 | ფიზიკური კულტურა | 2 | | 2 |
| 17 | შრომითი სწავლება (გამოთვლითი) მანქანები | 2 | 2 | 1 |
| 18 | დაწყებითი სამხედრო მომზადება | — | 1 2 | 2 |
| | სულ | 40 | 2 | 45 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| №№ | საგნების დასახელება | საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით | | |
|---|---|---|---|---|
| | | VIII | IX | X |
| 1 | რუსული ენა | 2 | — | 1 |
| 2 | რუსული ლიტერატურა | 3 | 4 | 3 |
| 3 | ქართული ენა | 3 | 2 | 2 |
| 4 | მათემატიკა (ელემენტარული კურსი) | 8 | 8 | 8 |
| 5 | უმაღლესი მათემატიკის ელემენტები | 1 | 4 | 4 |
| 6 | ისტორია | 3 | 4 | 3 |
| 7 | საზოგადოებათმცოდნეობა | — | — | 2 |
| 8 | გეოგრაფია | 2 | 2 | — |
| 9 | ბიოლოგია | 2 | 1 | 2 |
| 10 | ფიზიკა | 6 | 6 | 6 |
| 11 | ზოგადი ფიზიკის ელემენტები | — | 2 | 2 |
| 12 | ასტრონომია | — | — | 1 |
| 13 | ხატვა | 2 | — | — |
| 14 | ქიმია | 2 | 3 | 3 |
| 15 | უცხო ენა | 2 | 2 | 2 |
| 16 | ფიზიკური კულტურა | 2 | 2 | 2 |
| 17 | შრომითი სწავლება | 2 | 1 | 1 |
| 18 | დაწყებითი სამხედრო მომზადება | — | 2 | 2 |
| | სულ | 49 | 43 | 45 |

შენიშვნები:

1. სასწავლო წელი ყველა კლასში იწყება 1 სექტემბერს. სასწავლო წლის განმავლობაში ტარდება არდადეგები: შემოდგომო—5 დღე (5-დან 9 ნოემბრამდე ჩათვლით), ზამთრის—12 დღე (30 დეკემბრიდან 10 იანვრამდე ჩათვლით), საგაზაფხულო—8 დღე (24-დან 31 მარტამდე ჩათვლით).

2. VIII და X კლასებში სასწავლო მეცადინეობა მთავრდება 25 მაისს, ხოლო IX კლასებში 26 მაისს. სასწავლო მეცადინეობა მთავრდება 25 მაისს, ხოლო IX კლასებში 26 მაისს. სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ 29 მაისიდან 4 ივნისამდე ჩათვლით ჩატარდება გადასაყვანი გამოცდები, ხოლო 9-დან 25 ივნისამდე მოწაფეები გაივლიან ხუთდღიან საველე მეცადინეობას დაწყებით სამხედრო მომზადებაში (30 საათი).

3. სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ 1-დან 7 ივნისამდე ჩათვლით IX კლასებში ტარდება კლასიდან კლასში გადასაყვანი გამოცდები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. ისტორიისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან საქართველოს ისტორიის შესწავლას ეთმობა VIII, IX, X კლასებში 10 –10 საათი.

5. VIII კლასებში გეოგრაფიის სწავლებისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან საქართველოს სსრ ეკონომიური გეოგრაფიის შესწავლას ეთმობა 15 საათი.

6. კლასების ორ ჯგუფად გაყოფის წესი ვრცელდება VIII, IX და X კლასებზე რუსულ და უცხო ენებში, მათემატიკასა და ფიზიკაში, ხოლო IX და X კლასებზე - ფიზკულტურაში.

ჯგუფი იყოფა იმ შემთხვევაში, როცა თითოეულ კლასში მოსწავლეთა რაოდენობა 25-ზე მეტია (ფიზკულტურის გაკვეთილზე თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს სულ მცირე 8 გოგონა ან ვაჟი).

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე
8 აგვისტო, 1972 წელი

# სასწავლო გეგმა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ქ. რუსთავის ქიმიის გაძლიერებული სწავლების საშუალო სკოლა-ინტერნატისა 1972—1973 სასწავლო წლისათვის

| № | საგნების დასახელება | საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X |
| 1 | ქართული ენა | 8 | 4 | 4 | 4 | 3 | 2 | — | — |
| 2 | ქართული ლიტერატურა | — | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | 4 | 3 |
| 3 | რუსული ენა და ლიტერატურა | 6 | 6 | 6 | 5 | 4 | 4 | 3 | 4 |
| 4 | მათემატიკა | 6 | 7 | 6 | 6 | 6 | 5 | 7 | 6 |
| 5 | ისტორია | — | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 4 | 3 |
| 6 | საზოგადოებათმცოდნეობა | — | — | — | — | — | — | — | 2 |
| 7 | ბუნებისმცოდნეობა | 2 | 1 | — | — | — | — | — | — |
| 8 | გეოგრაფია | — | — | 2 | 3 | 2/3 | 2 | 2 | — |
| 9 | ბიოლოგია | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 |
| 10 | ფიზიკა | — | — | — | 2 | 2 | 4 | 5 | 6 |
| 11 | ასტრონომია | — | — | — | — | — | — | — | 1 |
| 12 | ხაზვა | — | — | — | — | 1 | 2 | | — |
| 13 | ქიმია | — | — | — | — | 2 | 6 | 9 | 9 |
| 14 | უცხოური ენა | — | — | 3 | 3 | 3/2 | 2 | 2 | 2 |
| 15 | სახვითი ხელოვნება | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — |
| 16 | სიმღერა და მუსიკა | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | — | — |
| 17 | ფიზიკური კულტურა | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 18 | შრომითი სწავლება | 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 | 2 | 1 |
| 19 | დაწყებითი სამხედრო მომზადება | — | — | — | — | — | — | 2 | 2 |
| | ს უ ლ | 27 | 27 | 33 | 34 | 34 | 38 | 43 | 43 |

**შენიშვნა:** VIII კლასში ქიმიის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან, კვირაში 2 საათი დაეთმობა სპეციალური ხასიათის ამოცანების ამოხსნას და მოსწავლეთა მომზადებას IX კლასში გაძლიერებული პროგრამის დასაძლევად.

IX კლასში კვირაში 6 საათი დაეთმობა არაორგანულ ქიმიას, ხოლო 3 საათი ანალიზურ ქიმიას.

X კლასში 5 საათი დაეთმობა ორგანული ქიმიის შესწავლას, 2 საათი ქიმიურ. ტექნოლოგიას და 2 საათი სპეც. საგანს.

ფაკულტატიური მეცადინეობისათვის განკუთვნილი საათების საერთო რაოდენობიდან ფიზიკას VIII, IX და X კლასებში დამტკიცებული აქვს კვირაში 1 საათი, ხოლო მათემატიკას IX კლასში 1 საათი.

სკოლა-ინტერნატების და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე უ. [illegible]

# სასწავლო გეგმა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ზოგადსაგანმანათლებლო სპორტული პროფილის სკოლა-ინტერნატისა 1972—1973 სასწავლო წლისათვის**

| № | საგნების დასახელება | საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | IV | V | VI | VII | VIII | IX | X |
| 1 | ქართული ენა | 4 | 4 | 3 | 3 | 2 | — | — |
| 2 | ქართული ლიტერატურა | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 4 | 3 |
| 3 | რუსული ენა და ლიტერატურა | 6 | 6 | 5 | 4 | 4 | 3 | 3 |
| 4 | მათემატიკა | 7 | 6 | 6 | 6 | 5 | 6 | 6 |
| 5 | ისტორია | 2 | 2 | 2 | 3 | 3 | 4 | 3 |
| 6 | საზოგადოებათმცოდნეობა | — | — | — | — | — | — | 2 |
| 7 | ბუნებისმცოდნეობა | 1 | — | — | — | — | — | — |
| 8 | გეოგრაფია | — | 2 | 3 | 2/3 | 3 | 2 | — |
| 9 | ბიოლოგია | — | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 2 |
| 19 | ფიზიკა | — | — | 2 | 2 | 3 | 5 | 5 |
| 11 | ასტრონომია | — | — | — | — | — | — | 1 |
| 12 | ხაზვა | — | — | — | 1 | 1 | — | — |
| 13 | ქიმია | — | — | — | 2 | 2 | 3 | 3 |
| 14 | უცხოური ენა | — | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| 15 | სახვითი ხელოვნება | 1 | 1 | 1 | — | — | — | — |
| 16 | სიმღერა და მუსიკა | 1 | 1 | 1 | — | — | — | — |
| 17 | შრომითი სწავლება | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — |
| 18 | დაწყებითი სამხედრო მომზადება | — | — | — | — | — | 2 | 2 |
| | სულ | 25 | 30 | 30 | 30 | 30 | 32 | 32 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| № | ფაკულტატიური მეცადინეობა სპორტულ სახეობაში | საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | IV | V | VI | VII | VIII | IX | X |
| 1 | სასწავლო ჯგუფებში II სპორტული თანრიგის ჩათვლით. | 16 | 16 | 16 | 16 | 16 | 16 | 16 |
| 2 | სასწავლო ჯგუფებში 1 და უმაღლესი სპორტული თანრიგები | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 | 20 |
| 3 | ზოგადსაგანმანათლებლო და სპორტული დისციპლინების მიხედვით ფაკულტატიური მეცად-ბის გარეშე, სასწავლო ჯგუფებში II სპორტ. თანრიგის ჩათვლით | 41 | 46 | 46 | 46 | 46 | 48 | 46 |
| 4 | სასწავლო ჯგუფებში I და უფრო მაღალი სპორტ. თანრიგი | 45 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 | 50 |

**შენიშვნა:** IX და X კლასებში შრომითი სწავლების 35 საათი (1 საათი კვირაში) ფაკულტატიური მეცადინეობის საათებთან და მაპროფილებელ საგანთან ერთად ერთ ციკლად ერთიანდება და მოხმარდება სპორტული მოედნების, ინვენტარისა და იარაღების შეკეთებას და მოვლა-პატრონობას.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**
ფიზიკური აღზრდისა და სპორტის
განყოფილების უფროსი **ი. ბაცელაშვილი**

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე უშ. ობოლაძე
27 ივლისი 1972 წელი

# თბილისის უსინათლო ბავშვთა სკოლა-ინტერნატის
## სასწავლო გეგმა
## 1972/73 სასწავლო წლისათვის

| № | საგნების დასახელება | მოსამზად. | საათების რაოდენობა კლასების მიხედვით | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | სულ |
| 1 | ქართული ენა | 12 | 12 | 9 | 8 | 4 | 4 | 4 | 3 | 2 | 2 | — | — | 60 |
| 2 | ქართული ლიტერატურა | | | | | 2 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 4 | 3 | 20 |
| 3 | რუსული ენა და ლიტერატურა | | | 5 | 4 | 5 | 6 | 5 | 4 | 4 | 4 | 4 | 4 | 45 |
| 4 | მათემატიკა | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 5 | 5 | 6 | 6 | 70 |
| 5 | ისტორია | | | | | | 2 | 2 | 3 | 3 | 3 | 3 | 3 | 19 |
| 6 | საზოგადოებათმცოდნეობა | | | | | | | | | | | | 2 | 2 |
| 7 | ბუნებისმცოდნეობა | | | | 2 | 2 | | | | | | | | 4 |
| 8 | გეოგრაფია | | | | | | 2 | 3 | 3 | 3 | 2 | | | 13 |
| 9 | ბიოლოგია | | | | | | | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | | 10 |
| 10 | ფიზიკა | | | | | | | | 2 | 2 | 4 | 4 | 4 | 16 |
| 11 | ასტრონომია | | | | | | | | | | | | 1 | 1 |
| 12 | ხაზვა | | | | | | | | | 1 | 1 | | | 2 |
| 13 | ქიმია | | | | | | | | | 2 | 2 | 3 | 3 | 10 |
| 14 | უცხოური ენა | | | | | | 3 | 3 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 16 |
| 15 | სახვითი ხელოვნება | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | | | 6 |

| № | საგნების დასახელება | მოსამზად. | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | სიმღერა და მუსიკა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | 9 |
| 17 | ფიზიკური კულტურა | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 24 |
| 18 | შრომითი სწავლება და საწარმოო შრომითი მომზადება | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 4 | 4 | 4 | 4 | 32 |
| | სავალდებულო სამეცადინო სულ: | 24 | 24 | 26 | 26 | 25 | 32 | 32 | 32 | 35 | 35 | 34 | 34 | 359 |
| 19 | ფაკულტატიური მეცადინეობა | | | | | | | 2 | 2 | 3 | 3 | 4 | 4 | 18 |
| 20 | ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობა ფიზიკური განვითარების ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად რითმიკა | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | | | | | | 13 |
| 21 | ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობა მეტყველების განვითარებისა და სხვა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | | | | | 12 |
| | სულ: | 28 | 28 | 30 | 30 | 28 | 35 | 36 | 35 | 38 | 38 | 38 | 38 | 402 |
| | შრომითი და საწარმოო პრაქტიკა დღეებში: | | | | | | | 6 | 6 | 12 | | 12 | | |
| | საათები: | | | | | | | 18 | 24 | 48 | | 48 | | |

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

## უსინათლო ბავშვთა განსაკუთრებული რეჟიმის საშუალო სკოლა-ინტერნატის ტიპიური სასწავლო გეგმისა

1. სასწავლო მეცადინეობა და არდადეგები იწყება და მთავრდება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილ ვადებში.
2. გამოცდები ტარდება განათლების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დამტკიცებული საგამოცდო ინსტრუქციის შესაბამისად.
3. საქართველოს სსრ-ში, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზეა, ამასთან მოსწავლეები სწავლობენ რუსულ ენასაც, კვირეული დატვირთვა მე-5—11 კლასში გაზრდილია 2 საათით.
4. სასწავლო ჯგუფების დატვირთვა შრომის სწავლებასა და საწარმოო შრომითი მომზადების ჯგუფებში შეიძლება იყოს 8—10 კაცი; სამკურნალო ფიზკულტურაში კი—4—6 კაცი.
5. შრომითი და საწარმოო პრაქტიკა ტარდება სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ან მეორე სასწავლო წლის მანძილზე განსაზღვრულ ვადებში.
6. პრაქტიკა შეიძლება ჩატარდეს უსინათლოთა საზოგადოების საწარმოებში, ფაბრიკა-ქარხნებში, ლაბორატორიებში, სასწავლო სახელოსნოებში, სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და ა. შ.

პრაქტიკის ჩატარების ვადები ან მისი მონაცვლეობა სასწავლო მეცადინეობასთან განისაზღვრება გრაფიკით.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების
სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების მინისტრის
მოადგილე უშ. ობოლაძე
27 ივლისი, 1972 წელი

სუსტადმხედველ ბავშვთა საშუალო სკოლა-ინტერნატის

## სასწავლო გეგმა

1972—73 სასწავლო წლისათვის

| | საგნების დასახელება | მოსამზად. | საათების რაოდენობა კლასების მიხედვით | | | | | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I | II | III | IV | V | VI | |
| 1 | ქართული ენა | 12 | 12 | 9 | 8 | 4<br>2 | 4<br>3 | 4<br>2 | 53<br>7 |
| 2 | ქართული ლიტერატურა | | | 5 | 4 | 5 | 6 | 5 | 25 |
| 3 | რუსული ენა და ლიტერატურა | | | | | | | | |
| 4 | მათემატიკა | 6 | 6 | 6 | 6 | 7 | 6<br>2 | 6<br>2 | 3<br>44 |
| 5 | ისტორია | | | | | | | | |
| 6 | ბუნებისმცოდნეობა | | | | 2 | 2 | | | 4 |
| 7 | გეოგრაფია | | | | | | 2 | 3<br>2 | 5<br>2 |
| 8 | ბიოლოგია | | | | | | | 2 | 2 |
| 9 | ქიმია | | | | | | | | |
| 10 | უცხოური ენა | | | | | | 3 | 3 | 6 |
| 11 | სახვითი ხელოვნება | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | | 6 |
| 12 | სიმღერა და მუსიკა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 |
| 13 | ფიზკულტურა | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 14 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | საგნების დასახელება | მოსამზად. | საათების რაოდენობა კლასების მიხედვით | | | | | | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I | II | III | IV | V | VI | |
| 14 | შრომითი სწავლება და საწარმოო-შრომითი მომზადება | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 14 |
| | სავალდებულო სამეცადინო | 24 | 24 | 26 | 26 | 26 | 30 | 34 | 192 |
| 15 | ფაკულტატიური მეცადინეობა | | | | | | | 2 | 2 |
| 16 | ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობა ფიზიკური განვითარების ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად (რითმიკა) | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 13 |
| 17 | ჯგუფური და ინდივიდუალური მეცადინეობა მეტყველების განვითარების სხვა ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად | 2 | 2 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 11 |
| | სულ: | 28 | 28 | 30 | 30 | 29 | 35 | 38 | 218 |
| 18 | შრომითი და საწარმოო პრაქტიკა<br>დღეები:<br>საათები: | | | | | | | <br><br>6<br>18 | |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი:

### სუსტადმხედველ ბავშვთა სკოლა-ინტერნატის სასწავლო გეგმისა

1. სასწავლო მეცადინეობა და არდადეგები იწყება და მთავრდება რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის დადგენილ ვადებში.

2. გამოცდები ტარდება განათლების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებისათვის დამტკიცებული საგამოცდო ინსტრუქციის შესაბამისად.

3. საქართველოს სსრ-ში, სადაც სწავლება მშობლიურ ენაზეა, ამასთან მოსწავლეები სწავლობენ რუსულ ენასაც, კვირეული დატვირთვა მე—5—6 კლასში გაზრდილია 2 საათით.

4. სასწავლო ჯგუფების დატვირთვა შრომით სწავლებასა და საწარმოო შრომით მომზადებაში განისაზღვრება 8—10 მოსწავლით, სამკურნალო ფიზკულტურაში კი 4—მოსწავლით.

5. შრომითი და საწარმოო პრაქტიკა ტარდება სასწავლო მეცადინეობის დამთავრების შემდეგ ან მთელი სასწავლო წლის მანძილზე განსაზღვრულ კალენდარულ ვადებში.

6. პრაქტიკა შეიძლება ჩატარდეს უსინათლოთა საზოგადოების საწარმოებში სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე, კოლმეურნეობებში ფაბრიკა-ქარხნებში, ლაბორატორიებში, სასწავლო სახელოსნოებში, საბჭოთა მეურნეობებში და ა. შ.

პრაქტიკის ჩატარების ვადები ან მისი მონაცვლეობა სასწავლო მეცადინეობასთან განისაზღვრება გრაფიკით.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

# დამხმარე სკოლა-ინტერნატებისა და სკოლის სასწავლო გეგმა 1972—1973 სასწავლო წლისათვის

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე
27 ივლისი, 1972 წ.

| № | | საათების რაოდენობა კვირაში კლასების მიხედვით | | | | | | | | კვირეული საათების რაოდენობა | გაძლიერებული შრომითი სწავლების IX კლასი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 კლ. | II | III | IV | V | VI | VII | VIII | | | |
| 1 | მშობლიური ენა და ლიტერატურა | 12 | 12 | 12 | 12 | 9 | 8 | 8 | 8 | 81 | 2 | |
| 2 | ქართული ან რუსული ენა | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 8 | — | |
| 3 | მათემატიკა | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 6 | 48 | 4 | |
| 4 | ბუნებისმცოდნეობა | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 8 | — | |
| 5 | გეოგრაფია | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 2 | 8 | — | |
| 6 | ისტორია | — | — | — | — | — | 2 | 2 | 2 | 6 | 2 | |
| 7 | სახვითი ხელოვნება | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | 6 | — | |
| 8 | ხაზვა | — | — | — | — | 1 | 1 | 2 | 2 | 6 | — | |
| 9 | ფიზკულტურა | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 16 | 2 | |
| 10 | სიმღერა და მუსიკა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | 6 | — | |
| 11 | ხელგარჯილობა | 2 | 2 | 2 | — | — | — | — | — | 6 | — | |
| 12 | პროფ-შრომითი სწავლება | — | — | — | 6 | 7 | 9 | 10 | 10 | 42 | 26 | |
| | სულ სავალდებულო მეცადინეობა | 24 | 24 | 24 | 28 | 33 | 36 | 36 | 36 | 241 | 36 | |
| | ინდივ. ლოგოპედიური მეც. | 4 | 4 | 4 | 4 | 3 | 3 | — | — | 22 | — | |
| | ს უ ლ | 28 | 28 | 28 | 32 | 36 | 39 | 36 | 36 | 263 | 36 | |
| | საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომა და საწარმოო პრაქტიკა დღეებში: საათებში: | | | | | 12<br>36 | 12<br>36 | 24<br>96 | 24<br>96 | | | |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. სასწავლო მეცადინეობა და არდადეგები იწყება და მთავრდება იმავე ვადებში, როგორც ეს დადგენილია რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისათვის.

2. გამოცდები ტარდება განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული საგ. მოცდო ინსტრუქციის შესაბამისად.

3. პროფესიულ-შრომითი სწავლება ვაჟებისა და გოგონებისათვის ტარდება ცალ-ცალკე.

4. სასწავლო ჯგუფის დატვირთვა შრომით სწავლებასა და საწარმოო შრომითი მომზადების ჯგუფებში განისაზღვრება 8—10 მოსწავლით.

5. VII—VIII კლასებში საწარმოო პრაქტიკა ტარდება სასწავლო წლის მანძილზე განსაზღვრულ ვადებში. საწარმოო პრაქტიკის ან მისი მონაცვლეობის ვადები სასწავლო მეცადინეობასთან განისაზღვრება გრაფიკით.

6. V—VI კლასების მოსწავლეები სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ 12 დღის განმავლობაში ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას.

7. გაზრდილი პროფესიულ-შრომითი სწავლების IX—X კლასები იქმნება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1971 წლის 31 დეკემბრის № 805 ბრძანების შესაბამისად.

ამ კლასებში ჩაირიცხებიან დამხმარე სკოლის კურსდამთავრებულნი, რომელთაც თავიანთი ჯანმრთელობის მდგომარეობისა და ინტელექტის დონით შეუძლიათ დაეუფლონ აღნიშნული სკოლისათვის განსაზღვრულ პროფესიებს.

მოსწავლეთა სპეციალობის მიხედვით საკვალიფიკაციო გამოცდებს აბარებენ იმ საწარმოებში, სადაც ტარდება პრაქტიკა.

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო
სახლების სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

1. დადგენილება საუკეთესო სასწავლო ტექნიკური საშუალებების დამზადებაზე საკავშირო კონკურსში საქართველოს სსრ პედაგოგიური და საინჟინრო ტექნიკური საზოგადოებრიობის, სკოლების, სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების, უმაღლესი სასწავლებლების, საკონსტრუქტორო ბიუროების, სამრეწველო საწარმოებისა და შემოქმედებითი კავშირების მონაწილეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . 3

2. დადგენილება ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში შრომის დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით დამატებითი ღონისძიებების გატარების შესახებ 13

3. ბრძანება № 402—საჩხერის მე-2 საშუალო სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . 19

4. ბრძანება № 98 — რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . 22

5. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს და საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიების დადგენილება რესპუბლიკის სკოლებში საბჭოთა სამართლის საფუძვლების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 28

6. ბრძანება № 405 . . . . . . . . . . . . . . . . . . . 32

7. ბრძანება № 406—ხაშურის, ქარელის, ამბროლაურის, ონის, გურჯაანის, სიღნაღისა და თეთრი წყაროს რაიონების ქართულ სკოლებში რუსული ენისა და ლიტერატურის სწავლების მდგომარეობის შესახებ . 34

8. ბრძანება № 415—ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ . . . . . . . . . . 42

9. ბრძანება № 422—თიანეთის საშუალო სკოლა-ინტერნატის სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . 53

10. დადგენილება 1972-1973 სასწავლო წლისათვის სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების საუკეთესოდ მომზადებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაშლის შესახებ . . . . 57

11. ბრძანება № 429—1972 წელს მუშებისა და მოსამსახურეების ბავშვთა საზაფხულო დასვენების ორგანიზაციის თაობაზე შემდგომი ორგანოების

დადგენილებისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1972 წლის 14 ივნისის № 361 ბრძანების შესრულების მიმდინარეობის შესახებ სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სპეციალური სკოლების პიონერულ ბანაკებში. . . . . . . . . . . . . . . . . . . . 62
12. ბრძანება № 437—სიღნაღის, ორჯონიკიძის, ლანჩხუთის და კასპის რაიონებში ახალი სასწავლო წლისათვის მზადების მდგომარეობის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 68
13. ბრძანება № 440—ხულოს სკოლა-ინტერნატის სასწავლო აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . . . . . . 71
14. ბრძანება № 441—ქ. თბილისის, ოქტომბრისა და პირველი მაისის რაიონებში უდედმამოდ დარჩენილ ბავშვთა და მოზარდთა პატრონირების, გაშვილებისა და მეურვეობა-მზრუნველობის შესახებ . . . 76
15. სასწავლო გეგმები 1972—1973 სასწავლო წლისათვის (თბილისის კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის, ქ. რუსთავის ქიმიის გაძლიერებული სწავლების, სპორტული-პროფილის სკოლა-ინტერნატებისა, აგრეთვე დამხმარე სკოლა-ინტერნატისა და სკოლისა) . . . . . . . 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი უშ. ობოლაძე
კორექტორი ე. აგლაძე

**ფასი 14 კაპ.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI-72 წ. ანაწყობის ზომა 6×9,5, ქაღალდის ზომა 60×84, სასტამბო ფორმათა რაოდენობა 6

შეკვ. № 850. უე—05156 ტირაჟი 5.000.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 11, უშ. ჩხეიძის ქ. № 19.
**Типография № 11 Главполиграфпрома Комитета по печати при Совете Министров ГССР ул. Уш. Чхеидзе № 19**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ТИПОГРАФИЯ № 11**
ГЛАВПОЛИГРАФПРОМА
ГОСКОМИТЕТА С. М. Груз. ССР
ПО ПЕЧАТИ
Ул. Уш. Чхеидзе № 19

«4» XII 1972 г.

## НАКЛАДНАЯ № 133

Кому [illegible]

Чье издание [illegible]

| Автор и название книги | № заказа | Тираж | Колич. отправл. экз. | Колич. отправл. посылок |
|---|---|---|---|---|
| [illegible] | 850 | 5000 | 1 | 1 |

Подпись отправителя [illegible]